MES 4 21 0001364994

14/12/2021

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 30.11.2021 - 01.12.2021
სხდომის დაწყების დრო: 15:25 სთ
სხდომის დასრულების დრო: 00:21სთ (01.12.2021)
საბჭოს თავმჯდომარე: ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი
საბჭოს მდივანი: მარიამ შენგელია;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:
1. ნათიაზედგინიძე-ჯიშკარიანი - სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. ნინო იმნაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, ამავე ფაკულტეტის შენობა-ნაგებობის არქიტექტურის მიმართულების სრული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. მარიამ შენგელია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
4. ანა ფირცხალაშვილი - შპს "საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს" სამეცნიერო კვლევების მიმართულებით ვიცე-რექტორი;
5. გაიანე სიმონია - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების, კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, გერიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;
6. ელენე ჟურავლოვა - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
7. გაიოზ ფარცხალაძე - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

8. ელიზბარ ელიზბარაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საერთო-საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრის დირექტორი, პროფესორი;
9. ნიკა თიკანაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი, შპს "საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის" საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
10. გიორგი ღაღანიძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
11. დავით კაპანაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის უფროსი, პროფესორი;
12. დიანა მჭედლიშვილი - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
13. ეკატერინე ნაცვლიშვილი - შპს "ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;
14. თამარ ჩხეიძე - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ასოცირებული პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
15. თეონა მატარაძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
16. მაკა კაჭარავა - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
17. ნინო ინასარიძე - "CNFA საქართველოს" გარემოს დაცვის მენეჯერი.

სხდომაზე დამსწრე პირები
სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ნინო სარჯველაძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
2	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
3	ნიკა გიგაური	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
4	დავით ბურჯანაძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლოდაწესებულებისდასახელება	სტატუსი	საკითხი
1.	ვაჟა ვარდიძე,	შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი	რექტორი და პროგრამის ხელმძღვანელი	I
2.	დიმიტრი გეგენავა		პრორექტორი	I
3.	ნათია შეყილაძე		კანცლერი	I

4.	ნინო ქათამაძე		ხარისხის მართვის სამსახურიდან-უფროსი	I
5.	ნინო წიქვაძე		ხარისხის სამსახურის სპეციალისტი-	I
6.	გოჩა ბარნოვი		ჰუმანიტარულ და მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი	I
7.	მამა ჯუზეპე პაზოტტო		უნივერსიტეტი დამფუძნებელი,ეპისკოპოსი,	I
8.	დავით მახვილაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	სტუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.	II
9.	ზურაბ გვიშიანი		სტუ-ის სამშენებლო ფაკულტეტის დეკანი.	II
10.	მარინა ჯავახიშვილი		სტუ-ის სამშენებლო ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.	II
11.	ელინა ქრისტესიაშვილი		სტუ-ის მშენებლობის, ეკონომიკისა და მენეჯმენტის დეპარტამენტის ხელმძღვანელი.	II
12.	მურმან ბაქრაძე		პროფესორი, ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „მშენებლობის ინჟინერია და მენეჯმენტი“ ხელმძღვანელი.	II
13.	გრიგორ ხოფერია		როფესორი.	II
14.	ლეილა ქრისტესიაშვილი		ასოცირებული პროფესორი.	II
15.	ლევან ბოგვერაძე		ასოცირებული პროფესორი.	II
16.	მედეა ძოწენიძე		ასოცირებული პროფესორი.	II
17.	თინათინ დათიაშვილი		სტუ-ის სამშენებლო ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.	II
18.	ვახტანგ ბალავაძე		დამსაქმებელი.	II
19.	თეა კორძაძე	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის	აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	III
20.	ომარი კიკვიძე		საინჟინრო ტექნიკური ფაკულტეტის დეკანი	III
21.	პაატა გერაძე		.,,მშენებლობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	III

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაციაელექტრონულისაშუალებითმონაწილეობისშესახებ	საკითხი
1	ნინო ქიმერიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I

2	მამა ეფრემი (გივი ლომიძე)	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	მამა ილია (ირაკლი ჯინჯოლავა)	(ჩაერთო „ზუმით“)	I
4	თეონა კუპრაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
5	თეა კასრაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
6	პაატა გერაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
7	მერაბ ბარათაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
8	ნინო ჯოჯუა	(ჩაერთო „ზუმით“)	II
9	თამარ ღუღუნიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
10	ირმა ღარიბაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
11	ვახტანგ ბალავაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
12	მიხეილ ბიჭია	(ჩაერთო „ზუმით“)	III
13	ირაკლი ნოდია	(ჩაერთო „ზუმით“)	III

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.
საბჭოს სხდომა დაიწყო: **15:00** საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის "თეოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მშენებლობის ინჟინერიისა და მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მშენებლობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტ სეუს - "ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკთხის განხილვა;
5. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "პოლიტიკის მეცნიერების (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

· არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის "თეოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მშენებლობის ინჟინერიისა და მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მშენებლობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტ სეუს - "ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკთხის განხილვა;
5. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "პოლიტიკის მეცნიერების (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

პირველი საკითხი: შპს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის "თეოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	თეოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	8
9	კვალიფიკაციის დასახელება	თეოლოგიის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	რელიგია და თეოლოგია 0221
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	58
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0186, თბილისი, კალისტრატე ქუთათელაძის ქუჩა №3
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ დიახ

თვითაცილება განაცხადა ეკატერინე ნაცვლიშვილმა. თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ 29 ნოემბერს ინსტიტუციის წარმომადგენლებმა, შუამდგომლობით მიმართეს ცენტრს, სადაც საუბარი იყო ორ საკითხზე. პირველი - შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის "თეოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის აუდიო და ვიდეო ჩანაწერის განხორციელება და საქმის მნიშნელობიდან გამომდინარე საჭიროების შემთვევაში აღნიშნული ჩანაწერის დაწესებულებისთვის გადაცემა.“ მეორე - ცენტრს უზრუნველეყო ცენტრის იურისტის ან სამართლებრივ უზურნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის სხოდმაზე დასწრება.“ მეორე საკითხთან დაკავშრებით საბჭოს თავმჯდომარემ ბრძანა, რომ საბჭოს სხდომას ესწრებოდა, იურიდიული უზრუნველყოფის სამმართველოს ხელმძღვანელი - ქეთევან კობახიძე. ხოლო, პირველ საკითხთან დაკავშრებით საბჭოს თავმჯომარემ განმარტა, რომ ყოველი სხდომის აუდიო-ვიდეო ჩაწერა მიმდინარეობდა მხოლოდ ოქმის მიზნებისათვის. მან კითხვით მიმართა ინსტიტუციის წარმომადგენლებს, თუ რას გულისხმობდნენ ისინი „საქმის მნიშვნელობიდან გამომდინარე საჭიროების შემთხვევაში“ და რამ განაპირობა აღნიშნული მომართვა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ქათამაძემ განაცხადა, რომ ექსპერტთა დასკვნის პოზიციები პრინციპულად განსხვავდებოდა ინსტიტუციის პოზიციისგან, აქედან გამომდინარე, დაწესებულების წარმომადგენლებს სურდათ განხილვის დროს დაფიქსირებულიყო ზეპირსიტყვიერი განმარტებები და დოკუმენტურად ყოფილიყო დამოწმებული, რათა ინსტიტუციას შემდგომი პროცესებისათვის საჭიროებისამებრ გამოეყენებინა. ამდენად, ინსტიტუციის წარმომადგენლების სურვილი იყო, რომ არ წაეშალათ საბჭოს სხდომის ჩანაწერი და თუკი დადგებოდა საჭიროება, უნივერსიტეტი დააყენებდა შუამდგომლობას და გამოითხოვდა აღნიშნულ ჩანაწერს.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დიმიტრი გეგენავამ განმარტა, რომ მათი მიზანი არ იყო ჩანაწერის პირდაპირ მიღება, სწორედ ამიტომ იყო დაკონკრეტებული წერილში, რომ მისი გამოთხოვა მოხდებოდა საჭიროებისამებრ. დაწესებულების წარმომადგენელმა, აღნიშნა, რომ მათი შუამდგომლობის მიზანი იყო, რომ აღნიშნული ჩანაწერი არ განადგურდეს და საჭიროების შემთვევაში სამართლებრივი მიზნებისათვის მოხდეს მისი გამოყენება. მისი თქმით, ბოლო 3-4 წლის განმავლობაში პირველად გამოიკვეთა განსხვავებული პოზიციები დაწესებულებასა და ექსპერტებს შორის. დაწესებულების წარმომადგენლების აპელირებით, დასკვნაში არის მოცემული რამდენიმე მოსაზრება, რომელიც კანონს ეწინააღმდეგება, რაც ავტომატურად ხდება ბათილობის საფუძველი.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ არაერთ საბჭოზე იყო შემთხვევები, როდესაც ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა და ინსტიტუციის პოზიციები რადიკალურად განსხვავებული იყო. ხოლო, საბჭოს კომპეტენცია სწორედ სიღრმისეული განხილვა, ზეპირი განხილვა და ფაქტობრივი გარემოებებების საფუძველზე გადაწყვეტილების მიღება იყო.

საბჭოს თავმჯდომარემ, შუამდგომლობის განსახილველად გამოაცხადა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 15:31

დასრულების დრო: 16:10

საბჭოს თავმჯდომარემ, შამდგომლობის წერილთან დაკავშირებით განაცხადა, რომ საბჭოების სხდომებზე აუდი-ვიდეო ჩანაწერის განხორციელების წესის შესახებ არსებობდა ცენტრის დირექტორის 2019 წლის 26 მარტის „№212/ი ბრძნება“, რომლის მიხედვითაც, აუდიოჩანაწერი აუდიოჩაწერაზე პასუხისმგებელ შესაბამის პირთან ინახება არაუმეტეს 10 სამუშაო დღის ვადით. საბჭოს თავმჯდომარის თქმით, საბჭომ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება, რომ არ დაკმაყოფილდეს დაწესებულების შუამდგომლობა და არ მოხდეს აღნიშნული ჩანაწერის შენახვა დადგენილი ვადების მიღმა.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ნინო ქიმერიძემ განმარტა, რომ თეოლოგიის დარგის განვითარებისათვის, ნამდვილად მნიშნელოვანი წამოწყება იყო საბაუნის გადაწყვეტილება. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებას მოცემული საგანმანათლებლო პროგრამა აქვს საბაკლავრო და სამაგისტრო დონეზე. ექსპერტის თქმით, მათთვის გასაკვირი არ იყო დოქტურანტურის საგანმანათლებლო პროგრამის წარდგენა, ვინაიდან საფუძელი ეყრებოდა მნიშნელოვანი დარგის განვითარებას საქართველოში. მისი თქმით, ასევე აღსანიშნავია, რომ საგანამანათლებლო დაწესებულებას აქვს მზაობა ადმინისტრირება გაუწიოს სადოქტორო სკოლის ფარგლებში მე-8 საფეხურის პროგრამებს, თუმცა ექსპერტის შეფასებით ინსტიტუციას არ ჰქონდა დაგროვილი გარკვეული გამოცდილება. ექსპერტის თქმით, პროგრამის გაცნობის შემდეგ ექსპერტთა ჯგუფს აქვს განცდა, რომ მოცმული საგანმანათლებლო პროგრამის მოსამზადებელი პროცესი და არსებული ინსტიტუციური გამოცდილება არ იყო ერთი მხრივ საკმარისი და მეორე მხრივ მაქსიმალურად გამოყენებული. ექსპერტმა, ასევე ისაუბრა იმ დეტალებზე, რომლებმაც განაპირობა განსახილველ პროგრამაზე ამ ტიპის საექსპერტო დასკვნის წარმოდგენა. მისი განმარტებით, ყველაზე თვალშისაცემ დაბრკოლებად ექსპერტების მიერ მიჩნეულ იქნა პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, რამაც აკრედიტაციის სტანდარტების გარკვეულწილად რყევა გამოიწვია. ექსპერტის თქმით, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების მიზნები ორიენტირებულია ახალი ცოდნის შექმნაზე და არსებული ცოდნის განვითარებაზე ორიგინალური და თანამედროვე კვლევების განხორციელებით. პროგრამაზე დაშვების იმ წინაპირობებით, რომლებიც ამბობენ, რომ გარდა თეოლოგიური წინარე ცოდნის მქონე აპლიკანტისა, დაშვებულ იქნას აპლიკანტი ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებათა ცოდნის საფუძველზე, ექსპერტის შეფასებით ფაქტობრივად ძნელია დარწმუნება იმაში, რომ ეს უკანასკნელი დარგობრივი ცოდნის გარეშე სადოქტორო პროგრამაში გათვალისწინებული მინიმალური სასწავლო კომპონენტების საფუძველზე, რაც ზოგადად აქვთ სადოქტორო პროგრამებს, შექმნის ახალ ცოდნას, ან არსებულ ცოდნას განივითარებს. არსებული ცოდნა თეოლოგიაში რთულია ეწოდოს იმ ცოდნას, რამაც არასისტემურად გარკვეული სტატიებისა თუ ინდივიდუალური კვლევების საფუძველზე შეიძლება ჩამოუყალიბდეს აპლიკანტს. ექსპერტის თქმით, წინაპირობის გაუმართაობის გამო ნაკლებად შესაძლებელია პროგრამაში გაწერილი მინიმალური კომპონენტი იქნას მიღწეული. ერთ-ერთი ინდიკატორი პროგრამის მართებულად ჩამოყალიბებისათვის უნდა გახდეს ბაზრის კვლევა, რამაც უნდა დაარწმუნოს პროგრამის განმახორციელებელი პროგრამის კურსდამთვარებულის აუცილებლობაში, როგორც შიდა, ასევე გარე ბაზარზე. ექსპერტის თქმით ბაზრის კვლევა,

რომელიც იყო წარმოდგენილი დაახლოებით იყო 2 გვერდიანი, იყო ძალიან მცირე და ვერ პასუხობდა მოთხოვნას, რაც კიდევ ერთხელ დადასტურდა დამსაქმებლებთან შეხვედრის სესიაზე. ადგილობრივ შრომის ბაზარზე დამსაქმებელთა დიდი ნაწილი არც პროგრამას იცნობდა სიღრმისეულად და ვერც კურსდამთავრებულის დასაქმების აუცილებლობას ხედავდა

მათ ინსტიტუციებში. ხოლო საერთაშორისო ბაზარზე დასაქმების თვალსაზრისით, საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით სადოქტორო კვლევებში, საეკლესიო მეცნიერებების დარგში ჩართულია ის კატეგორია, რომელსაც აქვს საუნივერსიტეტო დიპლომი თეოლოგიაში ან ჩარიცხვამდე გადის ლიცენციატურის სრულ კურსს. წინარე ცოდნაში ექსპერტთა ჯგუფის დარგის ექსპერტები გულისხმობენ 4 არსებით დარგობრივ მიმართულებას: ბიბლიური თეოლოგია, სისტემური თეოლოგია, ისტორიული თეოლოგია და პრაქტიკული თეოლოგია, რომელიც არის ის საყრდენი რაზეც უნდა აშენდეს დარგის კვლევები. ექსპერტის შეფასებით, აღნიშნული დარგის განვითარება საქართველოსთვის ნამდვილად გამოწვევაა, რადგან ისეთი ტრადიციების და კულტურის ქვეყანაა, სადაც მოცემული სფერო არაერთი საზოგადოებრივი მოვლენის განსაზღვრაში გადამწყვეტ როლს თამაშობს. ხოლო ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ რაც უფრო მაღალ დონეზე იქნება საგანმანათლებლო პროგრამა შეთავაზებული საზოგადოებისათვის, რის მხარდაჭერას და მზაობას უნივერსიტეტი ნამდვილად აცხადებს, ამით კიდევ უფრო მნიშნელოვანი ფაქტორი გახდება უნივერსიტეტი ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, მამა ეფრემმა, განმარტა, რომ დარგის ექპერტები მოწოდებული იყვნენ არა იმისათვის, რომ პროგრამა გაჩერდეს, არამედ აღნიშნული პროგრამის სახით საქართველოში შეიქმნას ნამდვილი პრეცედენტი იმისა, რომ პროგრამა იქნება ძლიერი, საერთაშორისო სტანდარტებზე აგებული. როგორც კერძო უნივერსიტეტს, აქვს უფლება წინარე ცოდნის გარეშე დაუშვას თეოლოგიის დოქტორანტურაში აპლიკანტი, რომ ორმაგი სტანდარტი არ განხორციელდეს. ექსპერტის თქმით, ორი ფაქტორის გათვალისწინების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება აღნიშნული პროგრამის დამკვიდრება. უნდა შეიცვალოს წოდება, რომ თეოლოგიის დოქტორი ამ მოცემულობით ვერ პასუხობს იმას, რასაც საჭროება მოითხოვს, ან უნდა შემოწმდეს და მკაცრად მოხდეს წესდების შემოწმება. რეკომენდაციებთან დაკავშირებით ინსტიტუციამ გამოაგზავნა პასუხები და მათ შორის არის ლუბლინის უნივერსიტეტი, მიუნსტერის უნივერსიტეტი, ნოტრ დამის უნივერსიტეტი, სადაც საუბარი იყო იმაზე, რომ არ არის სავალდებულო სადოქტორო პროგრამამდე წინარე თეოლოგიური ცოდნა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ მას ქონდა მიუნსტერის უნივერსიტეტის წესდება, სადაც მესამე თავის მეორე პარაგრაფში ოფიციალურად არის ნაჩვენები, რომ დოქტორანტი აუცილებლად უნდა ფლობდეს თეოლოგის დიპლომს ან რიცენციატს და გამონაკლის შემთხვევაში, თუ აპლიკანტს აქვს თეოლოგიური საგნები სხვა სფეროში გავლილი, ხდება მათი აღიარება. ასევე იგივეა ლუბლინის კათოლიკურ უნივერსიტეტში და ნოტრ დამის უნივერსიტეტში. ექსპერტის შეფასებით გაუგებარია დასკვნა, რომ შესაძლებელია მაგალითად მათემატიკის სფეროდან აპლიკანტმა მოიპოვოს დოქტორის ხარისხი თეოლოგიაში, ისე, რომ მას არ ჰქონდეს არანაირი განათლება თეოლოგიის დარგიდან, აღნიშნული შეუშლის ხელს მაღალი აკადემიური თეოლოგიური სტანდარტის დამკვიდრებას. ექსპერტმა ხაზი გაუსვა, რომ მისი სურვილია აღნიშნული პროგრამა დამკვიდრდეს მაგრამ არა იმ მოცემულობით, სადაც მოხდება ყველა აპლიკანტისათვის მიღება.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, მამა ილიამ განმარტა, რომ ერთი მხრივ სასიხარულოა აღნიშნულ პროგრამაზე მუშაობა და მისი გაშვება, თუმცა მეორეს მხრივ მწუხარებას იწვევს ის ფაქტი, რომ პროგრამა ამ სახით არ არის მომზადებული და არ პასუხობს იმ გამოწვევებს, რასაც თეოლოგიის დოქტორი უნდა ფლობდეს, რაც გამოწვეულია იმ ფაქტორებით, რომელიც შეიძლება დაშვებაზეც არის დამოკიდებული და ასევე შემდგომ ჩაშლაშიც. ექსპერტთა ჯგუფის წევრმა მაგალითად მოიყვანა შემთხვევა, როდესაც უნივერსიტეტმა სხვა საბუთებთან ერთად სხვდასხვა, საერთაშორისო დონის პროფესორების შეფასებები წარმოადგინა. პროფესორთა მიმართ დასმული იყო სამი ზოგადი შეკითხვა, რომლებზეც ასევე ზოგადი პასუხები მიიღო

დაწესებულებამ. თუმცა, იყო შემთხვევა, როდესაც ფრიბურგის უნივერსიტეტის პროფესორმა, ბარბარა ჰელენსლებელმა შეკითხვებზე პასუხებს დაურთო სამი ძირითადი რეკომენდაცია. რომელთაგანაც ორი რეკომენდაცია პასუხობდა სწორედ იმას, რაზეც ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა საუბარი. თუმცა, სამი რეკომენდაციიდან არცერთი არ გაუთვალისწინებია სასწავლო დაწესებულებას და აღნიშნა, რომ ეს მათთვის აუცილებელი არ იყო. ექსპერტთა ჯგუფის წევრის აზრით, იმის გათვალისწინებით, რომ საერთაშორისო გამოცდილებაშიც მიუთითებენ პროგრამაში გარკვეული ხარვეზების არსებობაზე და გასცემენ რეკომენდაციას, დაწესებულებისათვისაც სასურველი უნდა ყოფილიყო აღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინება. ექსპერტთა ჯგუფის წევრმა ყურადღება გაამახვილა თეოლოგიის ოთხ ძირითად დარგზე, რომლებიც ორი სახით იყო შემოთავაზებული. სადოქტორო პროგრამაში მოცემული იყო ორი სემინარი და გაუგებარი იყო ეს სემინარები იყო კვლევით, თუ სასწავლო სემინარები. ორივე პასუხის შემთხვევაში ჩნდებოდა კრიტიკა, რადგან თუ სასწავლო სემინარი იყო, სადოქტორო პროგრამა გულისხმობდა კვლევას და ცოდნაზე შემდგომი ცოდნის დაფუძნებას და არა სწავლებას, ხოლო თუ კვლევითი სემინარი იყო, იგი საჭიროებდა წინარე ცოდნას, წინარე ცოდნა კი არ მტკიცდებოდა და საბუთებიდან გამომდინარე, შეიძლება არც მოეთხოვებოდა აპლიკანტს. აღნიშნული აჩენდა პრობლემას. წარმოდგენილ პროგრამაში დაკონკრეტებული არ იყო, თუ რატომ ჰქონდა აპლიკანტს მხოლოდ ისტორიულ და სისტემურ დარგში ცოდნის მიღების შესაძლებლობა და არა ასევე ბიბლიურსა და პრაქტიკულშიც. ექსპერტთა ჯგუფის წევრმა აღნიშნა, რომ ხარვეზები ჩნდებოდა არა მხოლოდ პროგრამაზე დაშვების წინაპირობებთან დაკავშირებით, არამედ დოქტორის ხარისხის მისაღებად დოქტორანტისათვის წაყენებულ მოთხოვნებთან მიმართებაშიც. არ იყო განსაზღვრული მაგალითად ძველი ბერძნული ენის ცოდნის მოთხოვნა, თუ დაწესებულება მიიღებდა აპლიკანტს ბიბლიური თეოლოგიის მიმართულებით. ექსპერტის შეფასებით არ არსებობდა ამგვარი და სხვა კონკრეტული მოთხოვნები იმასთან დაკავშირებით, თუ რა იყო აუცილებელი დოქტორანტის მიერ დოქტორის ხარისხის მისაღებად. მისი განმარტებით, დაწესებულება ხშირად აღნიშნავდა, რომ კანონი მათ არ ზღუდავდა, მაგრამ კანონი აწესებდა, პროგრამა ყოფილიყო იმდაგვარად შედგენილი, რომ შესაძლებელი ყოფილიყო მერვე დონის მიღწევა. წარმოდგენილი პროგრამა კი არ იძლეოდა აღნიშნულის შესაძლებლობას იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტი არათეოლოგიური სფეროდან შევიდოდა აღნიშნულ პროგრამაში. ექსპერტთა ჯგუფის წევრმა აღნიშნა, რომ რადგან ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებები საკმაოდ ფართო სფეროს მოიცავდა, პირობითად, საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრანტის დაშვება აღნიშნულ სადოქტორო პროგრამაზე შესაძლებელი იყო და გამომდინარე იქიდან, რომ სადოქტორო კვლევა უნდა ეყრდნობოდეს კონკრეტულ კვლევას, ერთ ისტორიულ მონაკვეთს, კონკრეტულ პიროვნებას, სახარების ერთ წინადადებას. ძალიან ვიწრო სფეროში ხდებოდა სპეციალიზება, რადგან ამით უნდა წარმოდგენილიყო კვლევა, ხოლო თეოლოგიის დანარჩენ სფეროებში დოქტორანტს არ ექნებოდა წარმოდგენა. ექსპერტთა ჯგუფის წევრის მოსაზრებით, სოციალური მეცნიერებებიდან თეოლოგიის სადოქტორო პროგრამაზე მოხვედრილმა დოქტორანტმა, შეიძლება დაწეროს სადოქტორო ნაშრომი ისტორიის კონკრეტულ მონაკვეთზე, მაგრამ არ ჰქონდეს თეოლოგიის ძირითადი მიმართულებების ცოდნა, საბაზისო მაინც. ექსპერტის თქმით, წარმოდგენილი მოსაზრება, რომ სხვადასხვა უნივერსიტეტები არ ითხოვენ ამგვარ ცოდნას იყო ტყუილი. ექსპერტი აღნიშნავს, რომ მათ წარმოადგინეს დაწესებულების მიერვე მითითებული უნივერსიტეტების მაგალითი, სადაც მოთხოვნებში მოცემულია ამგვარი ცოდნის არსებობა აპლიკანტის მხრიდან.

საბჭოს თავმჯდომარემ, სხდომაზე დამსწრე მხარეებს მოუწოდა წესებისა და ეტიკეტის დაცვისაკენ, გამოხატონ პატივისცემა და ნუ მოახდენენ რომელიმე მხარის დისკრედიტაციას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ვაჟა ვარდიძემ აღნიშნა, რომ პროგრამის მნიშვნელობაზე თანხმდებიან ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენლებიც და მის მიმართ დიდი ინტერესი არსებობს საერთაშორისო მასშტაბითაც. ასევე დასძინა, რომ მათი პარტნიორები აკრედიტაციის შედეგების დიდ მოლოდინში იმყოფებოდნენ. დაწესებულების წარმომადგენლის მოსაზრებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილ დასკვნაში მათი პოზიციები იმდენად აღრეულად იყო წარმოჩენილი სტანდარტებში, რომ შეეცდებოდა მისი პასუხები დაეჯგუფებინა სამ ნაწილად. პირველი ეს იყო შინაარსობრივი მხარე, თუნდაც ის თეოლოგიური მხარე, რის მიმართაც სხვა ექსპერტები თავს იკავებდნენ და ეგონათ მათი კომპეტენციის საკითხი. თუმცა, ამ შემთხვევაში საუბარი არ იყო თეოლოგიურ შინაარსზე, არამედ სადოქტორო პროგრამის სტრუქტურულ გადაწყვეტაზე და მის ფუნქციონალურობაზე. მეორე საკითხთან დაკავშირებით, რაც ხარისხის უზრუნველყოფის საკითხს შეეხებოდა, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფი, რომელიც ძალიან წუხდა და მოტივირებული იყო, რომ სადოქტორო პროგრამა ყოფილიყო ძალიან კარგი და ხარისხიანი, მაგრამ მათი არგუმენტაცია, მეტყველება და დაწესებულების წარმომადგენელთა არგუმენტაციის არ მიღება, რადიკალურად უკუგდება, სულ სხვა ეჭვებს უჩენდა მას. მესამე საკითხი შეეხებოდა იმ რეკომენდაციებს, რომლებიც დაწესებულების მოსაზრებით, თავისი არსითა და ბუნებით იყო კანონსაწინააღმდეგო. დაწესებულების წარმომადგენელმა ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილ რეკომენდაციებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ რეკომენდაციები აღრეულია და არ არის დაყოფილი სტანდარტების მიხედვით. მაგალითად, თუ იყო მეორე სტანდარტის საკითხი, ჩაშლილი იყო პირველ სტანდარტში, ან მესამე სტანდარტში. ერადერთი, ყველაზე მნიშვნელოვანი არგუმენტი, რითიც ექსპერტთა ჯგუფი ოპერირებდა და ცდილობდა ყველა სტანდარტის შეძლებისდაგვარად დაბლა დაწევას, შეეხებოდა სწავლების წინაპირობას. ექსპერტები ითხოვდნენ სადოქტორო პროგრამის სტრუქტურის ცვლილებას და მისი წინაპირობის შეცვლასაც. ექსპერტები აღნიშნავდნენ, რომ პროგრამის მიზნები და შედეგები სრულიად თავსებადი იყო ერთმანეთთან, თუმცა, მიუხედავად ამისა, ისინი მაინც ითხოვდნენ აღიშნული პროგრამის სტრუქტურის ცვლილებას. გაუგებარი იყო, თუ მიზნები და შედეგები იყო თავსებადი, სტრუქტურის ცვლილებას რა შედეგი უნდა მოჰყოლოდა. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ექსპერტები აღნიშნავდნენ, რომ სტრუქტურის ცვლილება უნდა მომხდარიყო ისე, რომ პროგრამა ყოფილიყო აპლიკანტის მოთხოვნის შესაბამისი. დაწესებულების წარმომადგენელმა კი განმარტა, რომ პროგრამა კი არ უნდა შეესაბამებოდეს აპლიკანტის მოთხოვნებს, არამედ აპლიკანტის ცოდნა უნდა შეესაბამებოდეს პროგრამის წინაპირობებს. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფი აგრეთვე ითხოვდა შედეგების რუკის დაზუსტებას, სამიზნე ნიშნულების განსაზღვრას. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის აბსტრაქტული, დაუსაბუთებელი და გაურკვეველი არგუმენტაცია იყო ის, რაც სირთულეს უქმნიდა დაწესებულების წარმომადგენლებს, კონკრეტულად ჩაწვდომოდნენ თუ რას გულისხმობდნენ ექსპერტები. პროგრამა იყო სადოქტორო, იგი მიზნად ისახავდა კვლევებს, ახალი ცოდნის შექმნას, კვლევითი უნარების გამომუშავებას. ის არ იყო პროგრამა, რომელშიც შესაძლებელი იყო ჩაერთოთ სასწავლო კომპონენტები, როგორც ამას ექსპერტთა ჯგუფი ითხოვდა. ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი ის სტანდარტები, რომლითაც წინარე ცოდნის შემოწმების ითხოვდნენ, დამახასიათებელი იყო სამაგისტრო და საბაკალავრო სწავლების საფეხურებისათვის, ამიტომ, პროგრამის სტრუქტურის ცვლილება ვერ დაექვემდებარებოდა ისეთი სასწავლო კომპონენტების შემოტანას, როგორებიც უზრუნველყოფდნენ საბაზისო ცოდნის შეძენას. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ძირითადი საკითხი, რაზეც ექსპერტები ამახვილებდნენ ყურადღებას, იყო თეოლოგიის დიპლომის არსებობა წინაპირობის დასაშვებად. მან ასევე განმარტა, რომ ქართული საგანმანათლებლო აქტების მიხედვით, არ იყო სავალდებულო ამგვარი წინაპირობის არსებობა, თუ ეს არ იყო ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერების რეგულირებადი დისციპლინა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ როდესაც ექსპერტები საუბრობდნენ სადოქტორო სწავლებისათვის თეოლოგიის დიპლომის

აუცილებლობაზე, ისინი არ ასახელებდნენ არავითარ არგუმენტს. მისი განმარტებით, გაუგებარი იყო, რატომ ვერ შეძლებდა კარგი ფილოლოგი ან ისტორიკოსი, დაეწერა სადოქტორო ნაშრომი თეოლოგიაში. ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა დიპლომი მხოლოდ ერთი პირობა იყო, რომელსაც დაწესებულება ითხოვდა და არ იზღუდებოდა თეოლოგიით. ამას გარდა, იყო ასევე სხვა წინაპირობებიც, აპლიკანტს უნდა წარმოედგინა გარკვეული, განსაღვრული თემა, თუ რაზე უნდა დაეწერა სადოქტორო ნაშრომი და რაზე უნდოდა ესაუბრა მას. აპლიკანტის სადოქტორო სწავლებაზე დაშვების მეორე აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენდა სადოქტორო ხელმძღვანელის რეკომენდაცია და მისი წერილი, რომელიც ასაბუთებდა, რომ აპლიკანტს შესწევდა სადოქტორო სწავლების დაწყების უნარი. მესამე წინაპირობას კი წარმოადგენდა გასაუბრება დარგობრივ საბჭოსთან, რომელიც საბოლოოდ წყვეტდა აპლიკანტის დაშვების საკითხს. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ის ფაქტი, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობად მოთხოვნილი არ იყო თეოლოგიის მაგისტრის დიპლომი, არ ნიშნავდა იმას, რომ პროგრამაზე მიიღებდნენ ნებისმიერ ადამიანს. თუ აპლიკანტს თეოლოგიის მინიმალური ცოდნა არ ექნებოდა, ის ვერ გაივლიდა დაშვების იმ ეტაპებს, რომელიც პროგრამაზე დასაშვებად იყო განსაზღვრული. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა ასევე, რომ მაგალითად, თუ ფილოსოფიის დიპლომის მქონე ადამიანი, რომელსაც კარგი, განვითარებული ცოდნა გააჩნდა, მაგრამ გავლილი არ ჰქონდა ყველა თეოლოგიური დისციპლინა და დადგებოდა საჭიროება, რომ დოქტორანტს დამატებითი მეორეხარისხოვანი, ფუნდამენტური ცოდნის შეძენა დასჭირდებოდა, რომელიც მისი უშუალო თემის სფეროს არ წარმოადგენა, მას უნდა ჰქონოდა ის უნარი, რომ თავად წამოეწია და ემუშავა აღნიშნულ საკითხზე. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამა იყო კვლევითი და დოქტორანტს ცარიელი წერტილების ამოვსება თუ დაჭირდებოდა, ეს მისი პრეროგატივა და ამოცანა იყო. ექპერტთა მოთხოვნა, რომ აპლიკანტს ჰქონოდა თეოლოგიის დიპლომი, გამომდინარეობდა ექსპერტთა გამოცდილებიდან, სადაც ისინი მოღვაწეობდნენ, კერძოდ გერმანიაში. იქ დომინირებდა ტრადიცია, რომლის მიხედვითაც თეოლოგიის სასწავლო პროგრამები მჭიდროდ იყო დაკავშირებული საეკლესიო სტრუქტურებთან. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, გერმანული საგანმანათლებლო სისტემა სრულად არ არის შემოერთებული ბოლონიის პროცესის პრინციპებთან. ბოლონიის სულისკვეთება მდგომარეობს სწორედ იმაში, რომ იმ დარგებში სადაც არ არის მედიცინა, იურისპრუდენცია და პედაგოგიკა, უფრო მეტად ხდება ინტერდისციპლინარული კვლევები და სხვადასხვა დარგების დიალოგი. თუკი ვინმეს ფილოსოფიური განათლება აქვს და საუბრობს ღმერთის თემაზე, დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, შეუძლიათ დაიცვან თეოლოოგიის დოქტორის ხარისხი. ასევე შესაძლებელია, ისტორიული განათლების მქონეს, დაიცვას დოქტორის ხარისხი ეკლესიის ისტორიის მიმართულებით და აღნიშნული არ უნდა იყოს შეზღუდული. მიუნსტერის უნივერსიტეტის და ლუბლინის უნივერსიტეტის მიღების წინაპირობებში ეს არ იყო მინიშნებული. ეს ტენდენცია, როდესაც საუბარია, რომ გერმანული უნივერსიტეტებისათვის დამახასიათებელია სასწავლო კურსის გაძლიერების მოთხოვნა, აღნიშნული ტენდენცია ეტაპობრივად იცვლება (მაგ: ფრაიბურგის უნივერსიტეტი). დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, წინაპირობების საკითხები არის ფორმალური და აჩენს კითხვას, თუ რას შეუშლის ხელს. თუკი ექსპერტი ამბობს, რომ ფუნდამენტური ცოდნა სჭირდება აპლიკანტს იმისათვის, რომ დაიცვას სადოქტორო ნაშრომი, ამისთვის არსებობს დარგობრივი კომისია, ვისთანაც საჭირო ცოდნის გარეშე ვერ გავა აპლიკანტი.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ქათამაძემ ისაუბრა მე-5 სტანდარტთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ექსპერტთა საბოლოო დასკვნასთან დაკავშირებით ჰქონდა შენიშვნა. მისი თქმით, ხუთივე სტანდარტი არის ურთიერთ განმაპირობებელი და მისთვის როგორც ხარისხის სამსახურის წარმომადგენლისათვის, ეჭვს იწვევდა და გაუგებარი იყო, თუ როგორ დადგინდა თითოეული ქვესტანდარტის შეფასება, რადგან მე-3 სტანდარტი, რომელიც შეეხება სტუდენტთა მიღწევებს, შეფასებულია სრულად შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან, ასევე მეტწილად შესაბამისობაშია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, ხოლო მე-2 და მე-4

სტანდარტი შეფასებულია, როგორც არ არის შესაბამისი მოთხოვნებთან, როდესაც დასახელებული ოთხივე სტანდარტი გამომდინარეობს ერთმანეთისაგან და დაკავშრებულია ხარისხის შეფასების მექანიზმებთან. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, მათ ჰქონდათ კითხვის ნიშნები თუ რა სტანდარტით იხელმძღვანელეს ექსპერტებმა, როდესაც ადგენდნენ საბოლოო ქვესტანდარტის შესააბამისობას. მე-5 სტანდარტის პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეს იყო რეკომენდაცია, რომელზეც ექსპერტები თვლიან, რომ უნდა იყოს შესასრულებლად სავალდებულო რეკომენდაციის შინაარსიდან გამომდინარე. მისი თქმით, საბაუნიში დანერგილია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომლებიც ძალიან წარმატებით მუშაობს და ეს მექანიზმები, რომ წარმატებით მუშაობს არერთი პროგრამის აკრედიტაციის ან რეაკრედიტაციის პროცესში გამოვლინდა. აღნიშნული მექანიზმებიდან გამომდინარე თითოეული სტანდარტი და მექანიზმი მუშაობს იმისათვის, რომ პროგრამა იყოს დახვეწილი და იმუშაოს ამ მექანიზმებმა. ერთ-ერთი მექანიზმია დამსაქმებლის მიერ პროგრამის შეფასების კითხვარი, რომელსაც ინსტიტუცია იყენებს საჭიროებისამებრ ყოველწლიურად შესაბმის პროგრამებზე შესააბამის დამსაქმებელთან, აქედან მიღებული უკუკავშირით იხვეწება პროგრამა. აღნიშნული მეთოდოლოგია და კონკრეტული შევსებული კითხვარის ნიმუში „თეოლოგიის სამაგისტრო პროგრამის“ მაგალითზე წარმოდგენილია დაწესებულების მხრიდან. ამ პროგრამასთან დაკავშირებით ჩატარდა 2 ფოკუს ჯგუფი დადგენილი პრაქტიკის მიხედვით, შესაბამისად ექსპერტების მხრიდან რეკომენდაცია, რომ კიდევ ერთხელ მოხდეს ბაზრის კვლევაზე მეტი აქცენტი, ინსტიტუციის წარმომადგენლები თვლიან, რომ არ შეესებამება არსებულ რეალობას, რადგან უნივერსიტეტი აღნიშნულს წარმატებით ახორციელებს. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, შესაძლებელია ექსპერტები ან არ გაეცნენ წარმოდგენილ მტკიცებულებებს, ან ხელოვნურად ცდილობენ აღნიშნული რეკომენდაციით სტანდარტის დაწევას. მეორე რეკომენდაცია 5.1 სტანდარტში შეეხებოდა ანალოგ ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში პროგრამებთან შედარებას, რაზეც თვითშეფასებაშიც არის გაწერილი, რომ ინსტიტუციამ შედარება გააკეთა მსოფლიო რეიტინგის ლიდერი, საბაუნის პარტნიორი ნოტრ დამის უნივერსიტეტის (აშშ) თეოლოგიის პროგრამასთან, ლუბლინის კათოლიკური უნივერსიტეტის, თესალონიკის არისტოტელეს უნივერსიტეტის, მიუნსტერის და სხვა უნივერსიტეტების სადოქტორო პროგრამებთან, გააზრებულ იქნა სადოქტორო სწავლების ამერიკული და ევროპული მოდელები, ასევე, ზალცბურგის პრინციპების გათვალისწინებით, შეფასდა სადოქტორო პროგრამების განხორციელების სტანდარტი. რაც შეეხება ქართულ ანალოგს, დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ექსპერტები გულისხმობენ თეოლოგიის სადოქტორო პროგრამას ტექნიკურ უნივერსიტეტში, რომელიც გადახედილია უნივერსიტეტის წარმომადგენლების მიერ, მაგრამ ეს პროგრამა შეესაბამება ტექნიკური უნივერსიტეტის სპეციფიკას და სადოქტორო სწავლების მისეულ მოდელს, რაც ბუნებრივია არ გამოდგება საბაუნისთვის მოდელურ გზამკვლევად, რაც იყო უნივერსიტეტის პრინციპული გადაწყვეტილება, რომ არ გამოიყენა აღნიშნული პროგრამა, როგორც ანალოგი. აქედან გამომდინარე აღნიშნული ფაქტორი არის უნივერსიტეტის დისკრეციული უფლებამოსილება და ამ სახის რეკომენდაციის სავალდებულოდ დაწესება არ არის რელევანტური და უნდა იქნეს ამოღებული 5.1 ქვესტანდარტიდან. 5.2 ქვესტანდარტთან დაკავშირებული რეკომენდაცია, რომელიც ასევე შეეხებოდა გარე შემფასებლების მიერ გაცემული რეკომენდაციების სავალდებულო წესით გათვალისწინებას და თვითონ ამ მექანიზმის მიზნობრიობასთან დაკავშრებით დაწესებულების წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა, რომ მოსაზრებების გაცვლა და ანალიზი ემსახურებოდა კოლეგების შეხედულებების მოსმენას, ხოლო ინსტიტუცია საჭიროებისამებრ იყენებდა და ჩადებული ჰქონდა ხარისხის მექანიზმის წესში. თუმცა იყო რეკომენდაციები, რომლებსაც უნივერსიტეტი ვერ გაითვალისწინებდა, რაც ასევე არ ევალებოდა კანონმდებლობით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სტანდარტის დაწესება, რომ გარე შეფასების რეკომენდაცია იყოს სავალდებულო, ძალიან რთული პრეცედენტი იქნება ნებისმიერი უნივერსიტეტისათვის. ეს იქნება გარანტი იმისა, რომ ამ სახის დოკუმენტაციას

მიეცემა შემდგომში ფორმალური ხასიათი, ან უნივერსიტეტები საერთოდ შეიკავებენ თავს მისი წარმოდგენისაგან, ვინაიდან კანონმდებლობით არ არის სავალდებულოდ მოთხოვნილი. 5.3 ქვესტანდარტში გათვალისწინებული რეკომენდაცია ასევე იმეორებს პათოსს, რომ პერიოდულად განხორციელდეს პროგრამის მონიტორინგი ხარისხის მექანიზმების სრული დაცვით. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ეს არის რეკომენდაცია, რომელიც სტანდარტს დაბლა წევს და თავსებადია პირველ რეკომენდაციასთან, რომელიც შეხებოდა ხარისხის უზურუნველყოფის მექანიზმებს. მან აღნიშნა, რომ ბევრ პროგრამაზე ინსტიტუცია სემესტრულად ახორციელებს აღნიშნულ მექანიზმებს კითხვარების სახით, რომლებიც მუშავდება, ხოლო მიღებული უკუკავშირი გამოიყენება პროგრამის დახვეწისათვის. ინსტიტუციამ მექანიზმების შედეგად მიღებული დოკუმენტები (ანგარიშები, დასკვნები) წარმოადგინა ერთ პროგრამაზე, თუმცა სხვა პროგრამაზე მსგავსი დასკვნები არ ყოფილა გამოთხოვილი ექსპერტების მხრიდან. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, მათ რჩებათ შთაბეჭდილება, რომ ექსპერტები არ გაეცნენ წარმოდგენილ დოკუმენტაციას და ამ რეკომენდაციის ამ სახით წარმოადგენა სუბიექტურობის ეჭვს აჩენს. ბიუჯეტთან დაკავშირებულ რეკომენდაციაზე, დაწესებულების წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა, რომ ინსტიტუციას შედგენილი ჰქონდა პროგრამასთან დაკავშირებით ბიუჯეტი, რომელიც იმავდროულად ითვალისწინებდა გაუთვალისიწნებელ ხარჯებს. მანდ აღნიშნა, რომ ბიუჯეტი შედგენილი იყო სტანდარტებისა და აუდიტის შესაბამისი პრინციპების დაცვით, ასევე არსებოდა სადოქტორო სკოლის ბიუჯეტი, რომელიც არ იქნა გამოთხოვილი ვიზიტის მიმდინარეობის დროს, შესაბამისად ის პათოსი, რომ აკრედიტაციის მიღების შემდგომ ჰქონდეს პროგრამას ბიუჯეტი ფიზიკურად ვერ განხორციელდება, ვინაიდან ამ მოცემულობით, როგორც ექსპერტებმა ჩამოაყალიბეს, პროგრამა აკრედიტაციას ვერ მიიღებს, შესაბამისად მისი შესრულება არარეალისტურია და ასევე ბიუჯეტი უკვე არსებობს.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დიმიტრი გეგენავამ, აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დოკუმენტებით, რომლებიც წარმოადგინეს ექსპერტებმა დასტურდება ის, რომ გამონაკლისი შემთხვევები არსებობს. ინსტიტუცია არ საუბრობს იმაზე, რომ პროგრამას დაშვების წინაპირობაში უწერია კონკრეტული მეცნიერებების ხარისხები, არამედ ჩვენი საკანონმდებლო სივრცე ითვალისწინებს, რომ ჩამოწერილი უნდა იყოს. წინააღმდეგ შემთვევაში ინსტიტუციასაც ექნებოდა გამონაკლისი შემთხვევები და დაიწერებოდა. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, მათემატიკაზე აპელირება არარელევანტურია, რადგან არ წარამოადგენს არც სოციალურ მეცნეირებას და არც ჰუმანიტარულს. რაც შეეხება წინაპირობებს, დაწესებულების წარმომადგენლი აღნიშნავს, რომ დასჭირდება სერიოზული და ღრმა ლექციის ჩატარება, თუ რატომ არის გერმანულენოვან სამყაროში განსხვავებული საგანმანათლებლო სისტემა და რატომ არის სრულიად განსხვებული სხვა ევროპულ ქვეყნებში. მისი თქმით, პირველ რიგში, უნდა მოხდეს განსხვავება ექსპერტების მიერ წარმოდგენილი მაგალითებისა. განსხვავებულია გერმანიაში არსებული დოქტორანტურა და PHD პროგრამა თეოლოგიაში, რადგან აბსოლიტურად სხვადასხვა ხარისხებია და განსხვავებული დაშვების წინაპირობები აქვთ. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, მტკიცების ტვირთი ეხება საჯარო დაწესებულებას, ამ შემთხვევაში ექსპერტებს, თუმცა თუკი აღნიშნული გადაიზრდება პოლემიკაში და ჰპოვებს სამართლებრივ განვითარებას, შესაძლებელია უამრავი მტკიცებულების წარმოდგენა იგივე გერმანული, ბერძნული, პოლონური, ცენტრალური ევროპის და ანგლოამერიკული სისტემიდან, სადაც ამის უამრავი მაგალითია. სამართლებრივად რეკომენდაციის სავალდებულოდ დადგენა ცდება, როგორც ექსპერტების, ისე აკრედიტაციის საბჭოს უფლებამოსილებას. თუკი ხარვეზია ამ მხრივ პროგრამაში, უნდა დასაბუთდეს არსებული მექანიზმები რამდენად უზრუნველყოფს პროგრამაზე დაშვების წინაპირობების კუთხით თავსებადობას. მან ხაზი გაუსვა, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობები შემოწმდა მათ შორის წინა აკრედიტაციის პროცესშიც, რომელმაც მიიღო უმაღლესი შეფასება და აქ წარმოდგენილი უნივერსიტეტების უდიდეს ნაწილს იგივე აქვს (კვლევითი პროექტი, ხელმძღვანელის რეკომენდაცია, გასაუბრება დარგობრივ კომისიასთან). დაგრობრივი კომიისის

წევრი, კომპეტენტური პერსონალი რომელზეც აღნიშნეს ექსპერტებმა, ყველაფერზე თვალი უნდა დახუჭონ და განსხვებული სივრციდან მიიღონ აპლიკანტი, რაც დაწესებულების წარმომადგენლის შეფასებით არის აბსურდი. ასევე თეოლოგიის სადოქტორო პროგრამა საბაუნიში არის უფასო. ინსტიტუციის მიზანი და ინტერესი არ არის მიიღოს 5 ან 10 დოქტორანტი. ბატონმა დიმიტრიმ ისაუბრა ასევე კიდევ ერთ ფაქტობრივი შესწორებასთან დაკავშირებით, რომ უნივერსიტეტს ჰყავს ბიბლეისტები შემადგენლობაში და მოიყვანა შესაბამისი მაგალითები. თუმცა, მისი თქმით, უნივერსიტეტის პრინციპული პოზიციაა, რომ პროგრამა თეოლოგიის ყველა სივრცეს და დარგს არ მოიცავს. მაგალითად, ეკონომიკის სადოქტორო პროგრამა თუ გაქვს და ყველა მიმართულებას ვერ დაფარავ, არ არის საჭრო, რომ ყველა მიმართულებით მიიღო დოქტორანტები. ამით ფაქტობრივად ინსტიტუციას ავალდებულებენ, რომ მიიღოს ყველა მიმართულების დოქტორანტი თეოლოგიაში, რაც არის აბსურდი და ანომალია, რადგან არც სამართლებრივად და არც ლოგიკურად ეს არ არის რელევანტური. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურასთან დაკავშრებით დაწესებულების წარმომადგენლის თქმით კანონსაწინააღმდეგოა და ეწინააღმდეგება მინისტრის N3 ბრძანებას, საქართველოს უმაღლესი განათლების შესახებ კანონს და ზალცბურგის პრინციპებს. შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ თეოლოგიასა და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში შრომის ბაზრის ტრადიციული კვლევა არ ხორციელდება, რასაც დაადასტურებს ნებისმიერი საერთაშორისო ექსპერტი. ასევე, არასწორი თარგმანია „დამსაქმებელი“ და უნდა იყოს „დაინტერესებული პირი“ ე.წ „სტეიკჰოლდერი“. ეს არის ბაზარში არსებული მონაწილე და დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, სულაც არ ევალება მას, რომ დაასაქმოს კურსდამთავრებული. თეოლოგია მე-12 საუკუნის შემდეგ, შრომის ბაზრის ტრადიციულ კითხვარებს არ ექვებდებარება. ინსტიტუცია ამბობს, რომ აფინანსებს აღნიშნულ პროგრამას, თუნდაც 1 დოქტორანტი იყოს პროგრამაზე ინსტიტუციას უღირს მისი მიღება და შენახვა. აღნიშნული წარმოადგენს უნივერსიტეტის მისიას, რადგან ეს არის კვლევა და საზოგადოებრივ საქმიანობაში წვლილის შეტანა. გარდა ამისა, კვლევით სემინართან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, აღნიშნულ საბჭოზეც არაერთხელ განხილულა, რომ კვლევითი სემინარი ეს არის სასწავლო კომპონენტი, რომელიც კვლევითი უნარების შეძენას ემსახურება და არა ცალკე კვლევითი კომპონენტი, რომელიც ექსპერტებმა ასევე უნდა იცოდნენ, რომ N3 ბრძანების მიხედვით, კვლევითი კომპონენტისთვის განსხვავებულად ცალკე კრედიტის მინიჭება, ასევე აკრძალულია. გარდა ამისა, რეკომენდაციაში დაფიქსირებული მოსაზრება, რომ უშუალოდ მხოლოდ თეოლოგები უნდა იყვნენ კომისიის წევრები, აბსოლიტური შეუსაბამობაა. დოქტურანტურის დებულება პირდაპირ ამბობს, რომ უნდა უხელმძღვანელოს თეოლოგიის დოქტორმა, თანახელმძღვანელი და შემფასებელი შეიძლება იყოს მკვლევარი, რომლებიც სპეციალიზდებიან და კვლევებით უდასტურდებათ კვალიფიკაცია ამ კონკრეტული მიმართულებით. ასევე, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არ უნდა შეიყვანონ შემადგენლობაში 4-5 თეოლოგიის დოქტორი, რომელიც ქართულ ენაზე წერს და იკვლევს, რადგან აუცილებელია გარე შემფასებლებიც და ინსტიტუციის მიზანი არ არის მონოპოლიზაცია მოახდინოს ამ სფეროსი. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით იყო კიდევ ერთი „უნიკალური“ რეკომენდაცია, რომ თეოლოგიურის კონკრეტული ლექსიკონი უნდა ჰქონდეს ინსტიტუციას, თუმცა აღნიშნული პროგრამაში მითითებული არ არის. დაწესებულების წარმომადგენლის მოსაზრებით, უმჯობესი იქნებოდა აღნიშნული რეკომენდაცია ყოფილიყო რჩევის სახით. აღნიშნული საკითხის რეკომენდაციად ანუ სავალდებულოდ შესასრულებლად შეფასება, დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, სრულიად აცდენილია სტანდარტებს. უნივერსიტეტში არის 11 000 მდე წიგნი და აქედან 54 ლექსიკონი ხუთ სხვადასხვა ენაზე და ულიმიტო წვდომა საერთაშორისო ბაზებზე, რომელიც დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, არ გადაუმოწმებია ექსპერტთა ჯგუფს. მისი განცხადებით, ექსპერტები ითხოვდნენ საერთაშორისო თეოლოგიური ბაზის არსებობას, მაგრამ ეს არ იყო საჭირო, რადგან დაწესებულება თავად უზრუნველყოფდა აბსოლიტურად ყველა ჩარიცხულის საერთაშორისო კვლევით ვიზიტს, მივლინებასა და გაცვლით პროგრამაში

მონაწილეობას. გარდა ამისა, დაწესებულებას ჰქონდა საერთაშორისო ბაზები, რომელშიც იყო თეოლოგიური ლიტერატურა და დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით ექსპერტებს არ გადაუმოწმებით და არ უკითხავთ აღნიშნულის თაობაზე. მან ასევე განაცხადა, რომ ექსპერტებს შეეძლოთ რჩევის სახით დაეწერათ კონკრეტული თეოლოგიური ბაზა და დაწესებულება უზრუნველყოფდა მის შეძენას. დაწესებულების წარმომადგენლმა განაცხადა, რომ ფიქრობს, რეკომენდაციის არსი არ იყო სწორად გაგებული, რადგან დაწესებულებას ჰქონდა მთლიან აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტებიდან ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი ბიბლიოთეკა, პარტნიორებისათვის მიმართვის ულიმიტო რესურსი, რათა მიიღონ წიგნები ელექტრონული თუ მატერიალური სახით. რადგან რეკომენდაცია იყო სავალდებულო შესასრულებელი დანაწესი, ხოლო რჩევა - ის, რასაც ყოფით ტერმინოლოგიაში რეკომენდაციად ვიყენებთ. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, სამი რეკომენდაცია იყო აბსოლიტურად კანონსაწინააღმდეგო და მისი ამოღებით, აბსოლიტურად შესაბამისი გამოდიოდა ყველა სტანდარტი. აღნიშნული რეკომენდაციები იყო ჩაშლილი და მოცემული ყველა სტანდარტში. რაც განათლების კვლევებისა და აკრედიტაციის სტანდარტების სრული შეუსაბამობა იყო. დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, როდესაც მეოთხე სტანდარტში იყო მოცემული, ის რაც უნდა ყოფილიყო მეხუთეში და პირველ სტანდარტში მოცემული იყო მეორე სტანდარტის ნაწილი და ამით სპეციალურად იწეოდა სტანდარტი ქვევით, ეჭვს აჩენდა. მისი განცხადებით, თუ საჭირო იქნებოდა ოფიციალური დოკუმენტი, დაწესებულების მხრიდან წარმოდგენილი იქნებოდა ოფიციალურ წერილებს მიუნსტერიდან, კონკრეტულ სახელსა და გვარებს ვინც იქ იყო ჩარიცხული. რაც შეეხებოდა თესალონიკსა და ბერძნულ სისტემას, სხდომას ესწრებოდა პროფესორი გოჩა ბარნოვი და მას პირდაპირ სხდომაზე შეეძლო წარმოედგინა რეალური მაგალითები და ერთ-ერთ ყველაზე რეიტინგული უნივერსიტეტების დეკანებთან მიმოწერა, თუ როგორ ხდებოდა მიღება. დაწესებულების წარმომადგენელი განმარტავს, რომ ექსპერტებს, რომლებმაც ახსენეს ნოტრ დამის უნივერსიტეტი და წარმოადგინეს დოკუმენტი, შეეძლოთ სხვა დოკუმენტიც გამოეთხოვათ და დაწესებულების წარმომადგენელი უშუალოდ ამ უნივერსიტეტის პროგრამის ხელმძღვანელთან გაასაუბრებდა მათ. ლუბლინის კათოლიკურ უნივერსიტეტში რექტორის ან სადოქტორო სკოლის დონეზე შეეძლოთ ოფიციალური დოკუმენტის წარმოდგენა. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, კანონსაწინააღმდეგო იყო რეკომენდაცია, რომლის მიხედვითაც დაწესებულებას ცალკე სტრუქტურა, ანუ ფაკულტეტი უნდა შეექმნა თეოლოგიის მიმართულებით. რისი ვალდებულებაც, დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, დაწესებულებას, როგორც კერძო უნივერსიტეტს, არ ევალებოდა, რომ საერთოდ ჰქონოდა სტრუქტურა, არა თუ - ფაკულტეტი ან სკოლა. არამედ შეეძლოთ ყველა სტუდენტი ერთანად ჩაერიცხათ მათ პროგრამაში. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, დაწესებულებას ჰქონდა სადოქტორო სკოლა ცალკე, რაც აპრობირებული პრაქტიკა იყო მაგალითად ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, კავკასიის უნივერსიტეტში, ძალიან ბევრ წარმოდგენილ უნივერსიტეტში და საუბარი აღარ იყო ამერიკულ და ევროპულ უნივერსიტეტებზე, რომელთაც სადოქტორო სკოლა ჰქონდათ და მაგალითად ლუბლინსა და ნოტრ დამის უნივერსიტეტში სადოქტორო სკოლა ახორციელებდა აღნიშნულ პროგრამებს. აქედან გამომდინარე, მოცემული რეკომენდაცია ეწინააღმდეგებოდა კანონს. ის შეიძლებოდა ყოფილიყო რჩევა, მაგალითად, რომ სჯობდა დაწესებულებას შეექმნა ცალკე ფაკულტეტი ან სკოლა. სავალდებულო ხასიათით აღნიშნულის დადგენა ნიშნავდა სტანდარტის ხელოვნურად ქვევით დაწევას და არა მარტო ცდებოდა ფარგლებს, არამედ ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ხდებოდა კანონმდებლობის იმგვარი დავიწროება, რომელიც ადამიანის უფლებებს უზღუდავდა კონკრეტულ სუბიექტს. დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ისინი მზად იყვნენ პოლემიკისათვისაც და მიიჩნევდა, რომ სამწუხაროდ ეს დაემსგავსებოდა იმავე პროცესს, როგორიც იყო აკრედიტაციის პროცესი. მათ აკრედიტაციის მიმდინარეობისას მიაწოდეს ცენტრის წარმომადგენელს დაწესებულების წარმომადგენელთა პროტესტი იმასთან დაკავშირებით, რომ ხდებოდა ერთსა და იმავე თემებზე აპელირება, დოკუმენტების

უმრავლესობა არ იყო გამოთხოვილი და მიზანმიმართლად ხდებოდა კონკრეტული აზრისა და შეხედულების თავსმოხვევა. დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, თუ კი ექსპერტებს სურდათ, რომ უფრო მეტი ინფორმაცია მიეღოთ გერმანული განათლების სისტემაზე, რადგან ისინი თეოლოგიის ექსპერტები იყვნენ და არა განათლების, მზად იყო, გაეზიარებინა გამოცდილება და ექსპერტებიც წარმოედგინა, ვინც გერმანულად და ინგლისურად ისაუბრებდა, თუ რატომ ჰქონდა განსხვავებული კვალიფიკაციის სისტემა გერმანიას მე-16 საუკუნიდან დღემდე. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, თუკი ისევ იგივე საკითხზე იქნებოდა აპელირება, დაწესებულების წარმომადგენლები აღარ გასცემდნენ პასუხს. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, იურიდიული ჰერმენენტიკა არ იყო თეოლოგიური ჰერმენენტიკის ანალოგიური. არამედ, იგი ზუსტად იმას გულისხმობდა, რომ „გამონაკლის შემთხვევებში“, ნიშნავდა განსხვავებული სპეციალისტების ჩართვას და მათ შორის მათემატიკოსების, რისი პრეცედენტებიც არსებობდა. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დიდ ბოდიშს იხდის, რადგან ემოციურად გამოხატეს ეს ყველაფერი, მაგრამ ეს იყო ძალიან პრინციპული საკითხი, რადგან ეხებოდა მათ მისიას, უნივერსიტეტს და იმ საქმეს, რომელსაც ისინი აკეთებდნენ ხარისხიანად, რაც ბოლო სამი წლის აკრედიტაციის და ავტორიზაციის პროცესებიც ადასტურებდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ აღნიშნა, რომ ზეპირი მოსმენის დროს, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა ყოფილიყო, არც ერთმა მხარემ არ გაამახვილა ყურადღება მე-4 სტანდარტზე, რომელიც ეხება აკადემიურ პერსონალს, რესურსებს, მიუხედავად იმისა, რომ სტანდარტი იყო ძალიან დაბალი შეფასებით, ანუ არ შეესაბამებოდა. მან ასევე აღნიშნა, რომ საბჭოს წევრებმა რა თქმა უნდა შეისწავლეს ყველას პირადი საქმე და „CV“, მაგრამ თვითშეფასების ანგარიშში დაწესებულების წარმომადგენლებს ის ადგილი ჰქონდათ ღიად დატოვებული, სადაც საუბარი იყო ხელმძღვანელებისა და ზოგადად ჩართული პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი მაჩვენებლის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა ახალი იყო, ან პერსონალი იყო მოქმედი თუ ახალი, 5 წლიანი გამოცდილების ნაწილი შევსებული უნდა ყოფილიყო. 13 პროფესორიდან, რომლებიც თეოლოგიაში იყვნენ ჩართული, აფილირებული 6 და 7 აკადემიური პერსონალი, რომლები იყვნენ თეოლოგიის დოქტორები, რომლებიც გაუძღვებოდნენ საკვლევ თემატიკას. საბჭოს წევრმა ასევე შეკითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს და აღნიშნა, რომ რადგან ექსპერტებმა ახსენეს, რომ თეოლოგია 4 ძირითად მიმართულებას მოიცავდა: ბიბლიურს, სისტემურს, ისტორიულსა და პრაქტიკულს, წარმოდგენილი პერსონალიდან იყო თუ არა რომელიმე, რომელიც ოთხივე საკვლევ თემატიკას დააკმაყოფილებდა, თუ მომავალში ასეთი დოქტოროანტი ეყოლებოდა დაწესებულებას. საბჭოს წევრმა ასევე დასვა შეკითხვა კვლევით ნაწილში, ოთხივე მიმართულებით დოქტორანტის არსებობის შემთხვევაში დააკმაყოფილებდა, თუ არა დაწესებულების პერსონალი, რამდენი მათგანი იყო ამ მიმართულებით და რა სამეცნიერო-კვლევით გამოცდილება გააჩნდათ მათ. საბჭოს წევრმა შემდეგი შეკითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს და აღნიშნა, რომ მიღების წინაპირობებში, სამივე უცხო ენა (ინგლისური, ფრანგული და გერმანული) სამ ძირითად სასწავლო კომპონენტში საგნები, აკადემიური წერა, სწავლების თანამედროვე მეთოდები და კვლევის მეთოდები, სამივე სილაბუსში გამოყენებულია სამივე ლიტერატურა, რაც იქნება დამოკიდებული იმაზე, აპლიკანტი რომელი ენობრივი კომპეტენციისაა. საბჭოს წევრი დაინტერესდა, თუ რამდენად ექნებოდა პროგრამას ის ადგილობრივი ფინანსური რესურსი, რომ ერთი და იგივე საგანი სხვადასხვა ენაზე ყოფილიყო წაკითხული განსხვავებული ენობრივი კომპეტენციის მქონე დოქტორანტისათვის. ასევე, ჰქონდა თუ არა პერსონალს ენობრივი კომპეტენცია გაძღოლოდა სამივე უცხოურ ენაზე სასწავლო კურსებს.

საბჭოს წევრმა, ანა ფირცხალაშვილმა აღნიშნა, რომ მისი კითხვა შეეხებოდა ძალიან მნიშნელოვან 2.3 რეკომენდაციას რომელიც შეეხებიდა პროგრამის შინაარსს. საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ რა იყო ნაგულისხმევი აღნიშნულ რეკომენდაციაში, ის რაზეც საუბარი იყო სხდომის მიმდინარეობისას, რომ იყო 4 მიმართულება და ამ 4-დან ორი იყო გაძლიერებული თუ

კიდევ სხვა რამეზე იყო საუბარი. საბჭოს წევრმა კითხვით მიმართა ინსტიტუციას და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ოთხი მიმართულება, რომ შევადაროთ სხვა სფეროს, მაგალითად სამართალს, სადაც არის სხვადასხვა მიმართულებები (სისხლი, საჯარო, კერძო). საბჭოს წევრი დაინტერესდა საკვლევი თემები თუ ქონდა გამოხატული დაწესებულებას ამ მიმართულებით. წინაპირობებთან დაკავშირებით, საბჭოს წევრმა კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფს ფიქრობდნენ თუ არა ისინი, რომ პროგრამა საჭიროებს აუცილებლად წინაპირობებს თუ ზოგადად საქართველოში არსებული ყველა თეოლოგიის პროგრამა საჭიროებს იმ წინაპირობებს, რომელიც ექსპერტთა ჯგუფმა შესთავაზა დაწესებულებას. საბჭოს წევრი დაინტერესდა პროგრამა არის იმდენად რთული, რომ შესაძლებელია ვერ ისწავლოს სხვა სპეციალობის აპლიკანტმა, თუ ზოგადად არსებობს ეს მოსაზრება. საბჭოს წევრმა, ასევე აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის შიდა სტრუქტურასთან დაკავშრებით, უმაღლესი განათლების შესახებ კანონი ამბობს, რომ სსიპებს აქვთ ვალდებულება თუ რა ფუნქციები და სტრუქტურა უნდა ჰქონდეთ, რაც არ აქვთ კერძო სასწავლებლებლებს, ამიტომ საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ რამ განაპირობა აღნიშნული რეკომენდაცია.

საბჭოს წევრმა, ელენე ჟურავლოვამ აკადემიურ პერსონალთან მიმართებით აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანი იყო ექსპერტების მოსაზრება, რადგან სადოქტორო საფეხურზე არის საუბარი, კვლევითი პოტენციალის კუთხით რამდენად საკმარისია კვლევითი პოტენციალი რაც ხელმძღვანელებს აქვთ რა მოცემულობისაა და რამდენად საკმარისია. რამდენად შეუძლია აკადემიურ პერსონალს უხელმძღვანელონ და ღირებული ახალი ცოდნა შესძენინონ დოქტორანტს. საბჭოს წევრმა ასევე აღნიშნა, რომ ერთ-ერთი ექსპერტი საუბრობდა, რომ რაღაც ცოდნა უნდა მოწმდებოდეს სანამ დისერტაციას დაიცავს სტუდენტი. ამ შემთხვევაში დარგის სპეციფიკიდან აუცილებლად ცოდნა უნდა შემოწმდეს თუ მთავარი სწავლის შედეგი. საბჭოს წევრმა ასევე განმარტა, რომ ზეპირო მოსმენიდან დარჩა შთაბეჭდილება, რომ იმ შემთხვევაში თუ კვლევა ოთხივე მიმართულებით არ ხორციელდება გამოდის, რომ არ შეესაბამება კვალიფიკაციას. საბჭოს წევრი დაინტერესდა, აუცილებელი იყო თუ არა, რომ თეოლოგიის სადოქტორო პროგრამა აუცილებლად ოთხივე მიმართულებით მიდიოდეს, ასევე სწავლის შედეგები, როგორც არის ჩამოყალიბებული შეესაბამება თუ არა კვალიფიკაციით თეოლოგიის დოქტორს.

საბჭოს წევრი, თეონა მატარიძე დაინტერესდა, სოციალური მეცნიერებების დარგში თუ რამ განაპირობა წინარე ცოდნა. ასევე სასწავლო კურსში „თეოლოგიური ჰერმანენტიკა და კვლევის მეთოდები“, სადაც პირველი სწავლების შედეგი არის ძალიან ფართო. ჩამოთვლილია მთელი რიგი კვლევის მეთოდები და მათ შორის არის სოციოლოგიური და ფსიქოლოგიური კვლევის მეთოდები და მათი გამოყენებების შესაძლებლობები თეოლოგიურ კვლევაში. საბჭოს წევრის თქმით, შინაარსობრივად ვერ ნახა ფსიქოლოგიური და სოციოლოგიური კვლევის მეთოდები. მისი განმარტებით დასაფასებელია სამივე ენაზე შესაძლებლობების მიცემა, მაგრამ სასწავლო ლიტერატურაში გერმანულ და ფრანგულ ენაზე არც სოციოლოგიური და არც ფსიქოლოგიური მეთოდები არ არის დაფარული, ინგლისურში კი არის. საბჭოს წევრი დაინტერესდა, აღნიშნული საკითხი, როგორც შინაარსობრივად, ასევე მეთოდების კუთხით რამდენად იყო უზრუნველყოფილი.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა, რომ დაწესებულების წარმომადგენლის მიერ იყო ნათქვამი, რომ სადოქტორო კვლევებში არასწორი ფორმულირება იყო. რაზეც საბჭოს წევრმა განმარტა, რომ გაადაამოწმა და პირველ პრინციპში ეწერა „Employment Market“ რომელიც პირდაპირ ითარგმნება, როგორც დასაქმების ბაზარი. ასევე, საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ დაწესებულების წარმომადგენლის განმარტება, რომ ამ ტიპის სადოქტორო პროგრამებს არ ჭირდება შრომის ბაზრის კვლევა ვერ ნახა საბჭოს წევრმა ნორმატიულ დოკუმენტებში. შესაძლებელია აღშნიშნული გულისხმობდა სპეციფიურ კვლევას, მაგალითად ის, რომ ვერ გამოიკითხება ბევრი დამსაქმებელი. მაგრამ მოთხოვნა შრომის ბაზრის კვლევის რელევანტური შედეგებისა აბსოლიტურად რელევანტურია სადოქტორო დონეზეც და იმის გათვალისწინებითაც, რომ ეს პროგრამა არის თეოლოგია. საბჭოს წევრი ასევე დაინტერესდა, თუ

როგორი იყო ექსპერტების მოსაზრება იმის შესაახებ, რომ მოვიდა აპლიკანტი, რომელიც არ არის თეოლოგი, ხომ არ შეიძლებოდა კურიკულუმს გარეთ იყოს კონკრეტული შეთავზება, რაც აპლიკანტს მისცემს შესაძლებლობას შემდგომ გააგრძელოს. ამ ტიპის გადაწყვეტილება თუ იქნებოდა მისაღები ექსპერტებისათვის.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, მამა ილიამ განმარტა, რომ ფაკულტეტთან და სკოლასთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფის მიერ არ იყო გაწერილი რეკომენდაცია, არამედ ეს იყო რჩევა და ექსპერტის თქმით დაწესებულების წარმომადგენელმა დასდო ბრალი, რომ ექსპერტები ვერ ანსხვავებდნენ რეკომენდაციებს და რჩევებს. ასევე, დაწესებულების განმარტება, რომ ინსტიტუციამ შეადარა და იხელმძღვანელა ლუბლინის, ნოტრ დამის და მოინსტერის პროგრამებით, ექსპერტის თქმით აღნიშნულ უცხოური უნივერსიტეტების პროგრამებში იყო მთელი რიგი დეტალური ჩაშლები და მოიცავდა დაახლოებით 50 გვერდს. ექსპერტის თქმით, დაწესებულებების წარმომადგენლების მხრიდან რამოდენიმეჯერ გაჟღერდა სიტყვები „ეჭვს აჩენს“, რაც მიმართული იყო ექსპერტების მიმართ, ექსპერტმა ხაზი გაუსვა, რომ მოისმენდა თუ რა ეჭვები ჰქონდა ინსტიტუციას, მისი თქმით წინარე შეხვედრები იყო ძალიან მძიმე, რადგან ექსპერტები მოიხსენიეს, როგორც დილეტანტები, არაკომპეტენტურები, მიკერძოებულები და სუბიექტურები. ექსპერტმა, ბრძანა, რომ მამა ეფრემი დოქტორი გივი ლომიძე, რომელიც არის ერთ-ერთი ექსპერტი, არის ერთადერთი ჰაბილიტირებული ქართველი თეოლოგიის სფეროში. ბერძნულ ენასთან დაკავშრებით ექსპერტმა განმარტა, რომ თუ დოქტორანტი წერს ახალ აღთქმაში დისერტაციას, ის სადისერტაციოდ თემის მოცულობის დაახლოებით 10-15 % იყენებს ბერძნულ ენას. შეუძლებელია ბერძნული ენის გარეშე დაიწეროს თემა ახალ აღთქმაში, რაც ჩადებულია ჩაშლებში და არა თუ დოქტორანტს, ასევე სემინარზე დაშვების წინაპირობაც კი არის აღნიშნული ენის ცოდნა. შესაძლებელია იყოს სერთიფიცირებულიც. ასევე სხვა შემთხვევასთან დაკავშრებით, თეოლოგიის სადოქტორო პროგრამის ქონა საქართველოში. ექსპერტის თქმით, სამწუხაროდ არ არის, გამონაკლისია თბილისის სასულიერო სემინარია და აკადემია, სადაც მუშაობს სადოქტორო პროგრამა მაგრამ ჩარევის უფლება არ არის და ექსპერტმა განმარტა, რომ აღარ განიხილავდა სიღრმისეულად, რადგან სხვა უხერხულობას აჩენდა ეს მომენტი. სხვა უნივერსიტეტებში არ ხორციელდებოდა სადოქტორო პროგრამა, გამონაკლისი იყო ტექნიკური უნივერსიტეტი, სადაც ხორციელდებოდა და იქაც უზარმაზარი კითხვის ნიშნები იყო. საბჭოს წევრის კურიკულუმთან დაკავშირებულ შეკითხვაზე, ექსპერტმა განმარტა, რომ ექსპერტები ამ საკითხზეც ესაუბრნენ, რეკომენდაციის ნაწილშიც ჩაიდო, მაგრამ უნივერსიტეტი ამაზეც არ იყო თანახმა. ექსპერტმა განმარტა, რომ შესაძლებელი იყო წინარე პირობის ჩადება, დავუშვათ, მიიღოს უნივერსიტეტმა დოქტორანტი, მაგრამ მოსთხოვოს იმავე უნივერსიტეტში კონკრეტული საგნის გავლა. ეს შესაძლებელი იყო და გამონაკლისს განეკუთვნებოდა. მისაღები იყო, რომ კანდიდატს სფერო შეეცვალა, სფეროს შეცვლისას 60 კრედიტიანი ზღვარი არსებობდა, იმავე უნივერსიტეტის რეალობაში გაევლო აღნიშნული კრედიტების რაოდენობის საგნები, სანამ საბოლოო გამოცდას ჩააბარებდა, პარალელურად კი ემუშავა სადოქტორო თემაზე. თუმცა, ექსპერტმა აღნიშნა, რომ უნივერისტეტი ამაზეც არ თანხმდებოდა. ექსპერტის განმარტებით, განცხადება, რომ მოყვანილი არგუმენტები წარმოადგენდა ტყუილს, იყო ფაქტის კონსტატაცია და არ მიემართებოდა კონკრეტულ ადამიანს. როდესაც საუბარი იყო, რომ ლუბლინის და ნოტრ დამის უნივერსიტეტებში საკითხი სხვაგვარად იყო, ეს არ წარმოადგენდა ჭეშმარიტებას. ექსპერტმა განაცხადა, რომ მან პირადად მოუწოდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლებს, რომ რადგან ეს საკითხი ასეთი პრობლემური აღოჩნდა, გაეგზავნათ მათ ოფიციალური წერილი რამდენიმე სასწავლებელში და მიემართათ იმის შესახებს, თუ რა გამონაკლისების დაშვება იყო შესაძლებელი ასეთ შემთხვევაში. მისი თქმით, გამონაკლისების დაშვება შესაძლებელი იყო, არა მხოლოდ პროგრამაში გაწერილის, არამედ გაუწერლობის შემთხვევაშიც. გერმანიის მაგალითზე, პროფესორი იმდენად მაღალი სტატუსი იყო, რომ მას პროგრამის მიღმაც კი შეეძლო გამონაკლისის დაშვება.

საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა და აღნიშნა, რომ შეკითხვა იყო წინაპირობასთან დაკავშირებით. კონკრეტულად ამ პროგრამასთან დაკავშირებით ჰქონდათ ექსპერტებს წინაპირობის მოთხოვნა, თუ ზოგადად, თეოლოგიის სადოქტორო პროგრამები მოითხოვდა იმპერატიულად ასეთი წინაპირობის დაწესებას.
ექსპერტმა უპასუხა, რომ გერმანული მოდელები აღნიშნულს მოითხოვდა მკაცრად, მაგრამ არსებობდა სხვა ჩაშლის მეთოდებიც, მაგალითად ნოტრ დამის უნივერსიტეტი ამერიკული იყო, მაგრამ მოითხოვდა და ჩაშლის მეთოდებში გაწერილი ჰქონდა, რომ შესაძლოა კანდიდატს ფილოსოფია ჰქონდა ნასწავლი, მაგრამ მეორად საგნებად ასევე გავლილი ჰქონდა თეოლოგია და უნივერსიტეტი აძლევდა შესაძლებლობას ამ საგნების აღიარებისა, იმ შემთხვევაში თუ პირი დიპლომთან ერთად წარადგენდა ნიშნების ამონაწერს და უნივერსიტეტი განიხილავდა ამ საკითხს.
საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა და აღნიშნა, რომ აღნიშნული ოთხი მიმართულება იყო თუ არა ურთიერთშემავსებელი.
ექსპერტის განმარტებით, საბაზისო შემთხვევაში იყო, რადგან ბაკალავრზე სტუდენტი ამ ოთხ მიმართულებას მოიცავდა, თუმცა დოქტორანტის შემთხვევაში არ მოეთხოვებოდა. თუ რატომ არ შეიძლებოდა ისტორიკოსს თეოლოგიის მიმართლებით დაეცვა სადოქტორო ნაშრომი, ექსპერტმა განმარტა, რომ თუ ისტორიკოსს თეოლოგიის დოქტორის ხარისხი ეძლეოდა, მას ელემენტარული ცოდნა უნდა ჰქონოდა ახალი აღთქმა რამდენი წიგნისგან შედგებოდა. თუ მას არ ექნებოდა ცოდნა, რომ ძველი და ახალი აღთქმა არსებობდა, რა იყო პატრისტიკა, პატროლოგია და სტიმური თეოლოგია, შეიძლებოდა მისთვის თეოლოგიის დოქტორის ხარისხის მინიჭება? ექსპერტმა შეკითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, თუ დოქტორს დისერტაცია ექნებოდა მხოლოდ „ფლოროვსკიზე“, მას მხოლოდ „ფლოროვსკის“ ცოდნით შეეძლო თუ არა განეხორციელებინა სწავლება უნივერსიტეტში?
საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა და აღნიშნა, რომ ინსტიტუციამ წარმოადგინა მექანიზმი, რომლითაც იღებდა დოქტორანტს, აპლიკანტის სახით, სადაც მას წინასწარ უნდა ჰქონოდა მომზადებული გარკეული ნამუშევარი საკვლევი თემის ირგვლივ. შემდგომ, შესაბამისი სადისერტაციო კომისია იღებდა გადაწყვეტილებას. მან შეკითხვით მიმართა ექსპერტს და ექსპერტთა ჯგუფს, რა პოზიცია ჰქონდთ მათ აღნიშნულ მექანიზმთან დაკავშირებით.
ექსპერტმა უპასუხა, და აღნიშნა, რომ სამწუხაროდ, ე.წ. „ექსპოზე“ ვერ აკმაყოფილებდა და ვერ ამოწმებდა აღნიშნულ ცოდნას, რადგან, იგივე ეკლესიის ისტორიის მაგალითზე, თუ სურდა დოქტორანტს დისერტაციის დაწერა წმინდა კირიონ კათალიკოსზე, ეს ვერ შეამოწმებდა დოქტორანტის ცოდნას პატრისტიკაში, ახალ აღთქმაში და სხვა ფუნდამენტურ საგნებში. როგორც ისტორიკოსს შეეძლო, რომ კირიონ კათალიკოსზე შეედგინა „ექსპოზე“, მაგრამ ეს მის თეოლოგიურ ცოდნას არ ამოწმებდა არავითარ შემთხვევაში.
საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კიდევ იყო შეკითხვა ადამიანურ რესურსებთან დაკავშირებით, თუ რამდენად საკმარისი იყო აღნიშნული რესურსები სადისერტაციო თემების ხელმძღვანელობისთვის.
ექსპერტმა უპასუხა, რომ ეს დამოკიდებული იყო იმაზე, თუ რა მასშტაბს მოიცავდა სასწავლო დაწესებულება. საკმარისი არ იყო მხოლოდ ზოგადი და ზეპირი დათქმა იმასთან დაკავშირებით, რომ მხოლოდ ორი მიმართულებით მუშაობდა დაწესებულება. შესაძლოა ორი კი არა, არამედ ერთი მიმართულება, სისტემური თეოლოგია ჰქონოდა სასწავლო დაწესებულებას და მას კარგად შეეძლო კარგად შეესრულებინა ამ მიმართულებით დისერტაცია და შეექმნა ნაშრომი. მოცემულ შემთხვევაში კი აღნიშნული კონკრეტიკა არ არსებობდა, რამაც ფრიბურგის პროფესორის შეკითხვა წარმოშვა, რომ თუ მხოლოდ ორი მიმართულება იყო მოცემული და აღნიშნულით ხდებოდა შევსება, სად იყო დანარჩენი ორი მიმართულება. ექსპერტის განმარტებით, ისინი არ ავალდებულებდნენ დაწესებულებას, რომ ოთხივე მიმართულება ჰქონოდათ, არამედ განესაზღვრათ რა ჰქონდათ და რა არა. მისი განცხადებით, სასწავლებელი ვერ მოიცავდა ოთხივე მიმართულებას, რადგან სასწავლო დაწესებულებას არ ჰქონდა ამისთვის საკმარისი რესურსი. მაგრამ ეს არ აკნინებდა მათ როლს. შესაძლოა ორი

მიმართულებით დაეწყო სასწავლო დაწესებულებას და შემდეგ დაემატებინა მესამე-მეოთხე მიმართულებები, მაგრამ საჭირო იყო მათი დაკონკრეტება. ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, მამა ეფრემმა აღნიშნა, რომ, ის რასაც პროგრამა სთავაზობს შესაძლებელია მოექცეს სათაურის ქვეშ, არა თეოლოგიის დოქტორი, არამედ რელიგიის კვლევები. ექსპერტის თქმით შესაძლებელია კონკრეტული თემის აღება და მასზე მუშაობა, მაგრამ შეუძლებელია პიროვნება 3 წელიწადში თეოლოგიის დოქტორი გამოვიდეს. ექსპერტის თქმით ეს არ არის ექსპერტების ახირება, ეს არის ტრადიცია, რომელიც ფუნქციონირებს, როგორც გერმანულ ენოვანი, ასევე ამერიკული უნივერსიტეტები. ერთადერთი, რაც მოიძებნა არის ფლორიდაში ავემარიას უნივერსიტეტი, სადაც მეთიუს ლემფს ჰქონდა მცდელობა წინარე თეოლოგიური ცოდნის გარეშე მიეღო აპლიკანტი. აღნიშნული გამოცდილება დაექვემდება კოლაფსს, რადგან ვერ განვითარდა. ექსპერტის თქმით, იმის გათვალისწინებით, რომ ამერიკასაც აქვს მსგავსი წარუმატებელი პრაქტიკა, რატომ სურდათ, ისეთ პატრა ქვეყანაში, როგორიც არის საქართველო, განათლების კანონმდებლობაში სუსტი წერტილის პოვნა, როდესაც არსებობს მაღალი სტანდარტის ამბიცია და ხშირ შემთხვევაში ხდება გერმანული სტანდარტის გაზიარება. ექსპერტის შეფასებით ორმაგ სტანდარტებთან ჰქონდათ შეხება.

საბჭოს წევრმა, ელენე ჟურავლიოვამ დააზუსტა შეკითხვა, რომ გარდა წინაპირობის საკითხისა, სწავლის შედეგები და სტრუქტურა როგორც არის ჩამოყალიბებული შეესაებამება თუ არა თეოლოგიის პროგრამას.

ექსპერტის თქმით, სტრუქტურა არ შეესაბამება თეოლოგიის პროგრამას.

საბჭოს წევმა, ანა ფირცხალაიშვილმა ბრძანა, რომ დაუშვათ წინაპირობით მოვიდა პირი, რომელსაც აქვს თეოლოგიის მაგისტრის ხარისხი და ოთხივე მიმართულება იცის, შესაბამისად ის იკვლევს ორ ან ერთ მიმართულებას. საბჭოს წევრი დიანტერესდა ამ შემთხვევაში თუ იქნებოდა პროგრამა მისაღები.

ექსპერტის განმარტებით, ამ შემთვევაში მას საერთოდ არ სჭირდება სემინარები ან შესაძლებელია იმისათვის, რომ გაიღრმავოს ცოდნა. დოქტორანტი უნდა შეეჩვიოს კვლევას და არა ცოდნა შეიძინოს, დოქტორანტურა ცოდნის მიმცემი კი არა კვლევითი მეთოდების გამომუშავების დახვეწისთვისაა. ამიტომ ჩაბარებისთანავე ხელმძღვანელის მიერ წინასწარ არის დადგენილი ხოლმე მიმართულებები, რომლებზეც უნდა დაწეროს დოქტორანტმა სემინარები ან ის რომ არ არის საჭირო აღნიშნული სემინარები. მაგალითად იტალიური მოდელის მიხედვით თუ ლიცენზიატს გააკეთებდა სტუდენტი ვიდრე დოქტორანტურამდე მოვიდოდა მას არანაირი სემინარი არ დასჭირდებოდა შემდგომში. რასაც ასევე არ აწესებს დღევანდელი კანონმდებლობა. ექსპერტის თქმით 58 კრედიტი, რომელიც სასწავლებელს აქვს მოცემული, ეს თავისი კეთილი ნებაა. დაწესებულება დადებითად ოპერირებდა, რომ ეს საკითხი კი არ ევალებოდა, არამედ საკუთარი სურვილით აკეთებდნენ. თუკი აპლიკანტები სხვა სფეროებიდან მოვლენ პროგრამაზე აღნიშნული მიდგომით შეუვსებენ ცოდნას. ექსპერტის თქმით ჩნდებოდა კითხვა კვლევითი სემინარია თუ სასწავლო სემინარია. თუ კი არის კვლევითი სემინარი მას წინარე ცოდნა უნდა ჰქონდეს. ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ ბიბლიოთეკასთან მიმართებაში მათ ჩაერთოთ ძალიან სათნო ადამიანი, რომელმაც ვერაფერზე ვერ უპასუხა, ვერ წარმოადგინდა და ვერანაირი კვლევით პოტენციალი ვერ დაასახელა თუ რას იწერდნენ თეოლოგიის მიმართულებით. კვლევით პოტენციალთან დაკავშირებით, ექსპერტმა ჩამოთვალა პიროვნებები, რომლებიც მისი თქმით იყვნენ ის ადამიანები ვისაც გამოცდილი აქვს აღნიშნული გარმოებები, მიღებული აქვთ განათლება ევროპაში. პოტენციალი არსებობს თუმცა ექსპერტის შეფასებით არ შეიძლება ეს ისე იყოს გამოყნებული, რომ დაბალი ფასეულობების მქონე პროგრამა მივიღოთ.

საბჭოს წევრი, ელენე ჟურავლიოვა დაინტერესდა იყო თუ არა მიმდინარე კვლევები უმაღლესში, სადაც შეიძლება ჩაერთონ დოქორანტები.

ექსპერტის თქმით, ქართული რეალობის გათვალისწინებით, დაწესებულებაში განხორციელებული კვლევები კარგია.

საბჭოს წევრი, ელენე ჟურავლიოვა ასევე დაინტერედა, რომ თუ მოვიდოდა თეოლოგიის მაგისტრი და გაივლიდა პროგრამას წარმოდგენილი სტრუქტურით და გავიდოდა სწავლის შედეგზე, იქნებოდა თუ არა ეს შესაბამისი თეოლოგიის დოქტორის კვალიფიკაციასთან.
ექსპერტმა საბჭოს წევრს უპასუხა, რომ დიახ შეესაბამება და არსებობს ამის პოტენციალი, თუმცა ეს არ გამორიცხავს იმას, რომ იყოს დაკმაყოფილებული სხვა რეკომენდაციები.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ვაჟა ვარდიძემ განმარტა, რომ მისთვის გაუგებარია, თუ რატომ ფიქრობდნენ ექსპერტები, რომ აპლიკანტების მოყვანა მოხდებოდა ქუჩიდან. მისი თქმით, ადამიანი, რომელიც მოდის სადოქტორო სწავლებაზე, არამარტო კონკრეტულ დარგის კონკრეტული მიმართულებით ცოდნას მოითხოვს, აგრეთვე პროფესორის კვალიფიკაციაა განსაზღვროს თუ რამდენად აქვს უნარი აპლიკანტს. ასევე არსებობს დარგობრივი კომისია. მიმართულებებთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ უნივერსიტეტს არ ჰქონდა პრეტენზია, რომ ყველა მიმართულებით იქნებოდა სადოქტორო ნაშრომები. სადოქტორო ნაშრომები დაიწერება მხოლოდ იმ მიმართულებებით, რომელი მიმართულების შესააბამისი პროფესურა ჰყავს უნივერსიტეტს. მაგალითად, სადისერტაციო საბჭოში არ არიან პრაქტიკული თეოლოგიის პროფესორები, შესაბამისად არ იქნება სადოქტორო სწავლება ამასთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე მოთხოვნა, რომ უნივერსიტეტმა სადოქოტორო კვლევები ოთხივე მიმართულებით განახორციელოს. სასემინარო ნაშრომებთან დაკავშრებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ეს იყო სასწავლო კომპონენტი, რომელიც ემსახურება განავითაროს კვლევითი უნარები და ყველა ის უნარჩვევები რაც სჭირდება სტუდენტს რაც შეიძლება კარგი ნაშრომი მომაზადოს. „თეოლოგიური ჰერმანენტიკის“ სილაბუსთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა, განმარტა, რომ ეს საგანი არ მოიცავს ყველანაირ არსებულ მეთოდოლოგიებზე ჩაღრმავებულ სწავლას, რომელიც შეიძლება დოქტორანტს გამოადგეს. ნახსენები იყო, სოციოლოგი, ფსიქოლოგი, ეს იმ შემთვევაში ადგება დოქტორანტს თუ ინტერდისიპლინარულად იკვლევს. ყურადღება უნდა გამახვილდეს თუ რა მეთოდოლოგიებით შეიძლება დოქტორანტი ოპერირებდეს, თეოლოგიის შემეცნებითი რა პრინციპებია. ეს არის საგანი, რომელიც დოქტორანტს ეხმარება კიდევ ერთხელ გაიზაროს თუ რა მეთოდოლოგია სჭირდება და რა უნდა გააღმავოს.
დაწესებულების წარმომადგენელმა, დიმიტრი გეგნავამ აღნიშნა, რომ გაცხადებულია დოქტორანტურის დებულებით, რომ მხოლოდ იმ სფეროებში შეიძლება დოქტორანტის აყვანა, რომელშიც სადისერტაციო საბჭოს წევრების კვალიფიკაცია დასტურდება და მოწმდება, ასევე სისტემური თეოლოგია და თეოლოგიის ისტორია, ეკლესიის ისტორიის მიმართულებით კვლევითი სემინარები ჩადებულია, როგორც სავალდებულო ხასიათის. თუკი ექსპერტების მხრიდან იქნებოდა რეკომენდაცია, რომ დაკონკრეტებულიყო შედეგებში ისტორიული და სისტემური მიმართულებით მიღება, პრობლემა აღარ იქნებოდა. „თეოლოგიის დოქტორი“ ქუდი სახელწოდება, როგორც მაგალითად „ეკონომიკის დოქტორი“, რომელსაც არ ევალება ეკონომიკის ყველა დარგში ჰქონდეს უმაღლესი კვალიფიკაცია. დაწესებულების წარმომამდგენლის თქმით საფუძვლები, ძირითადი პრინციპები და საბაზისო ცოდნა უნდა ჰქონდეს აპლიკანტს, რაც მოწმდება გასაუბრებით, კვლევითი პროექტით, გამოცდით და ა.შ. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, გაუგებარია ექსპერტების მიერ პროფესორების დადებითად შეფასების მერე რატომ არის მაინც მოსაზრება, რომ აღნიშნული პროფესორები დილეტანტებს მიიღებდნენ. დაწსებულების წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა, რომ თუკი იქნებოდა სხვაგვარად ფორმულირებული და არ იქნებოდა ასე რადიკალურად, რომ „არ შეესაბამება“, „არ გადის შედეგზე“, რაც მისი შეფასებით აბსოლიტურად სხვა რამეს გულისხმობდა, შესაძლებელი იქნებოდა მსჯელობა. დაწესებულების მიზანი არ იყო ხარისხის დავარდნა.
საბჭოს წევრმა გიოგი ღაღანიძემ აღნიშნა, რომ პროგრამა იყო წარმოდგენილი 0221.1.1. პროგრამა, რომ იყოს 0221.1.2 რელიგიის კვლევები აბსოლიტურად დიდი ნაწილი შეხედულებების და განსხვავებებისა იხსნება ექსპერტების აზრით.

ექსპერტმა, მამა ეფრემმა განმარტა, რომ რელობა იყო ასეთი, ექსპერტებმა სთხოვეს უნივერსიტეტს და სამწუხაროდ ვერ დაასახელეს თუ რის საფუძველზე შეადგინეს დოკუმენტები. სრული ციკლი გამოირიცხება იმ შემთხევვაში თუ იქნება „Religious Studies“ ან „doctor of theological studies“ იქნება, რომელიც ამა თუ იმ ასპექტს ითვისებს, მაგრამ სრული პრეტენზია არ აქვს თეოლოგიის დოქტორის ხარისხის ქონაზე. რა გამოდის, რომ ხალხმა, ვინც უამრავი წელი იშრომა, იგივე სხვა პიროვნებამ სამ წელიწადში გაიაროს და იგივე კვალიფიკაცია მიიღოს? ექსპერტმა განაცხადა, რომ გასაგები იყო, კერძო სასწავლო დაწესებულება იყო წარმოდგენილი, მაგრამ უმჯობესი იქნებოდა სტანდარტის აწევა, რადგან კანონმდებლობის სისუსტეებით სარგებლობა სტანდარტს უფრო დაბლა დაწევდა. მან განაცხადა, რომ ის დაეთანხმებოდა აღნიშნულ პროექტს, თუ ის იქნებოდა „დოქტორ ოფ თეოლოჯიქალ სთადის“ ან „დოქტორ ოფ რელიჯეს საიენსის“ სახელწოდებით.
პროფესორმა თემურ ბუაძემ აღნიშნა, რომ დარჩა შთაბეჭდილება, ექსპერტებს აწუხებდათ ის, რომ თეოლოგიის დოქტორი შესაძლოა გამხდარიყო ის პირი, ვისაც არ ჰქონდა თეოლოგის დიპლომი. მისი თქმით შესაძლებელი იყო უამრავი მაგალითის მოყვანა, როდესაც სხვადასხვა სპეციალობების მქონე პირებმა შეასრულეს პირველხარისხოვანი შრომები თეოლოგიაში. თეოლოგიის პროგრამა გულისხმობდა იმას, რომ დოქტორანტს შეესრულებინა კვლევა სპეციფიკურ თემაზე, რომელიც თეოლოგიასაც ეხება. თუ კი აპლიკანტს არ ექნებოდა შესაბამისი კომპეტენცია, რომ დაეწერა თეოლოგიური კვლევა, ეს გამოჩნდებოდა ნაშრომში და ის ვერ დაიცავდა მას.
ექსპერტმა, მამა ეფრემმა განმარტა, რომ ეს არ იყო „doctor of theology“.
დაწესებულების წარმომადგენელმა, დიმიტრი გეგენავამ აღნიშნა, რომ პროფესორების ძირითად ნაწილს ჰქონდა ევროპული განათლება. პროფესორებს უდასტურდებოდათ კვლევები არა მარტო ქართულად, არამედ გერმანულად, პოლონურად, ბერძნულად, იტალიურად, ფრანგულად. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით ისინი არ ცდილობდნენ თვითშეფასების გადატვირთვას, რადგან მას მოყვებოდა “CV“-ები და დაწესებულება ცდილობდა მხოლოდ მის რეზიუმირებას. აღნიშნული საკითხითხზე ასეთი რეაქცია რომ არ წარმოშობილიყო, ეს საკითხი არ გახდებოდა აქტუალური, რადგან, შედეგებთან და კვალიფიკაციასთან ბმაში გახდა აქტუალური, რასაც ფიზიკურად ვერ წარმოიდგენდნენ, რადგან მათ თან ახლდათ “CV“-ები და გამოქვეყნებული ნაშრომები. დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, თუ ვინმე თეოლოგიაში ქართულ ენაზე გამოსცემდა რაიმეს, ეს იყვნენ თავად და მათ გამოცემა ხდებოდა მათ ბაზაზე. მეოთხე სტანდართან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულებას აქვს ელექტრონული კატალოგი, რომლის გადამოწმებაც შეუძლია ყველას. გარდა ამისა, დაწესებულების წარმომადგენლის თქმით სამწუხაროა რომ ბიბლიოთეკართან გასაუბრების ჩანაწერი წაიშალა, თორემ რომ იყოს ჯვარედინი დაკითხვის მეთოდები, ბევრი რამე გახდდებოდა საჯარო. მე-4 სტანდარტს ასევე მიემართებოდა ბიუჯეტი, რომელიც არსებობს პროგრამაზე და ასევე არსებობს კვლევის ბიუჯეტი. წიგნები სამივე ენაზე რელევანტურად არის მითითებული. ხარისხში არიან სამენოვანი პერსონალი და უზურნველყოფილია ამ ენებზე გაცნობა, პროგრამების ხელმძღვანელთან გასაუბრება და ასევე სადოქტორო სკოლასთან და ხარისხთან დეტალურად არის გავლილი. სოციოლოგიური კვლევის მეთოდებთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დასახელებაში ნამდვილად არ არის ინგლისურ და ფრანგულ ენოვანი, მაგრამ სარჩევში და შინაარსში არის. დაწესებულების წარმომადგენელმა, ასევე განმარტა, რომ დიახ სამართლის დარგების მსგავსად არის. შესაძლებელია სამართალში იყოს მხოლოდ საკონსტიტუციო სამართლით დაკომპლექტებული საბჭო და ეს ავტომატურად ნიშნავდეს იმას, რომ ხარისხის მინიჭება მოხდება საკონსტიტუციო სამართალში თუკი დებულებაში პირდაპირ არის გაწერილი, რომ უნდა ეყრდნობოდეს პროფესორის კვლევას და ეს არის სტანდარტი. რაც შეეხება სტრუქტურას დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ განსხვავდება სხვადასხვა ქვეყნის დოქტორანტურის სტრუქტურა, რაც ასევე გათვალისწინებულია ზალცბურგის პრინციპებში, რომ დოქტორანტურა ყველაზე

მრავალფეროვანი პროგრამაა ბოლონიის პროცესში. ღირებულ ცოდნას და კვლევით პოტენციალს ნამდვილად შექმნის აღნიშნული საკითხები. სწავლის შედეგებთან მიმართებაში დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ შესაძლებელია იმის გაზიარება, რომ სისტემური და ისტორიის თვალსაზრისით შესაძლებელია აისახოს შედეგბში. თეოლოგიის დოქტორს არ ევალება ოთხივე მიმართულების სპეციალისტი იყოს. სოციალურ მეცნიერებებთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულების წარმომადგენლებმა არ გამორიცხეს და არ გაწერეს გამონაკლისები, რადგან რელიგიის სოციოლოგია ანუ ფსიქოლოგია, რომელსაც აქვს თეოლოგიური ცოდნა და ეს შემოწმდება კვლევის პროექტით, შემოწმდება ხელმძღვანელის რეკომენდაციით, გასაუბრებით და ტესტირებით. შრომის ბაზართან დაკავშირებით, დაწესებულების წარამომადგენელმა განმარტა, რომ ყველაზე დიდი დამსაქმებლები იყვნენ თეოლოგიის დარგში მთელი კავკასიის დარგში. ჩატარდა ორი ფოკუს ჯგუფი, გამოიკითხა კურსდამთავრებულები, გაიგზავნა კითხვარები დაინტერესებულ პირებთან და ა.შ. რაც შეეხება კურიკულუმს მიღმა საგნების შეთავაზებას, დაწესებულების წარმომდგენელმა განმარტა, რომ არ წარმოადგენდა არანაირ პრობლემას და შესაძლებელია ყოფილიყო რჩევის სახით, მაგრამ ფიზიკურად არ აიყვანდა დაწესებულება ასეთ დოქტორანტს, რადგან მათ არ უღირდათ უფასო პროგრამაზე აეყვანათ დოქტორანტი, რომელსაც კვალიფიკაცია არ აქვს. დოქტორანტურის დებულებას აქვს დეატლურად ჩაშლილი 100 ქულის ფარგლებში რაზე მახვილდება ყურადღება კანდიდატის შემოწმების დროს, მათ შორის არის ცოდნა, გამოცდილება, „CV“, კვლევები და ყველაფერი ის, რაც გაზომვადი მიღწევადი და გადამოწმებად კრიტერიუმებს ქმნის. დოქტორანტურის იდეა არის კვლევა. დოქტორანტურაში, რომ განხორციელდეს კვლევა და სადოქტორო ხარისხი დაცული იქნეს მოეთხოვება კვალიფიციური აკადემიური პერსონალი, გამართული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და თანმდევი რესურსი და უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაცია, რაც დაეხმარება არამხოლოდ ადგილობრივი, არამედ საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე კვლევებში, გამოაქვეყნოს საერთაშორისო კვლევით ჟურნალებში, რომლებიც სავალდებულოა წინაპირობის სახით. დაწესებულების წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა, რომ არ ეთანხმებოდა კვალიფიკაციის შეცვლას, რადგან ის ზუსტად გადიოდა.

საბჭოს წევრმა, ნიკა თინიკაშვილმა აღნიშნა, რომ იკვეთებოდა ორი ძირითადი საკვანძო საკითხი. ერთი პროგრამის რესურსების უზრუნველყოფის საკითხი და მეორე თავად პროგრამა და მისი შინაარსობრივი, სტრუქტურული შესრულება. მეორე ნაწილთან დაკავშირებით, საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ რა რაოდენობის პერსონალით საჭიროებდა პროგრამა უზურნველყოფას იმისათვის, რომ იყოს მდგრადი და განვითარდეს. ასევე მისი თქმით, დასკვნას თან ახლავს გამოხმაურებები სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლებიდან, სადაც საუბარია კურიკულუმსა და პროგრამულ ნაწილზე, მათ შორის სწავლების მეთოდებზე და შინაარსობრივ მხარეზე. თუ ჰქონდათ შესაძლებლობა ექსპერტებს გაცნობოდნენ ამ დასკვნებს და რამდენად თავსებადი არის პროგრამა საერთაშორისო გამოხმაურებებთან მიმართებით, ვინაიდან საბჭოს წევრის თქმით ცხადად ჩანს დაფიქსირებული პოზიცია არაერთი უნივერსიტეტიდან.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, მამა ეფრემმა განმარტა, რომ ექსპერტებს ჰქონდათ შესაძლებლობა გაცნობოდნენ საერთაშორისო დასკვნებს, სადაც იკვეთება სხვადასხვა ხაზები, თუმცა მთავარი არის ის რომ ექსპერტებმა მოითხოვეს, რომ დაწესებულებას გამოეგზავნათ ის დოკუმენტაცია და მასალები, რის საფუძველზეც იქნა საერთაშორისო პროფესორების რეკომენდაციები თუ რჩევები შედგენილი, თუმცა ექსპერტის თქმით დაწესებულებას ასევე მიმართა ცენტრის წარმომადგენელმა, რომ გამოეგზავნათ აღნიშნული დოკუმენტები, თუმცა ექსპერტებს ეს დოკუმენტები არ მიუღიათ.

საბჭოს წევრი, ნიკა თიკანაშვილი დაინტერესდა, თუ რამდენად ეთანხმებოდნენ ექსპერტები შინაარსობრივად საერთაშორისო გამოხმაურებებს, შინაარსობრივად არის მიუღებელი თუ

პროცედურული ნაწილი არის შეხედულების მიზეზი, რადგან, საერთაშორისო დასკვნა საკმაოდ დეტალიზებულად და არგუმენტირებულად არის გაშლილი. საბჭოს წევრის თქმით, მისთვის, როგორც არაპროფესიონალისათვის რთულია შეფასება.
დაწესებულების წარმოამდგენელმა, დიმიტრი გეგენავამ აღნიშნა, რომ დასკვნაში გამოყენებულია მხოლოდ ერთი ექსპერტის კონკრეტული რეკომენდაციები, რომლებიც გერმანულენოვანი სამყაროდაანაა, ხოლო პოლონური და ბერძნული უნივერსიტეტების მხრიდან, რომლებიც დადებითად აფასებენ პროგრამას ამაზე აქცენტირება არ ხდება. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მოთხოვნის დღესვე მოხდა ინგლისურენოვანი პროგრამის გაგზავნა, რასთან დაკავშირებითაც წერია ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ მათ არ მიუღიათ ინგლისურენოვანი პროგრამა და არც ექსპერტთა დასკვნაში ყოფილა ნახსენები.
დაწესებულების წარმომადგენელმა, დიმიტრი გეგენავამ აღნიშნა, რომ შესაძლებელია ცდებოდა ექსპერტთა დასკვნაში იმგვარი მითითების შესახებ, რომ ექსპერტები გაეცნენ ინგლისურენოვან პროგრამას. ხოლო ცენტრის წარმომადგენელს ნამდვილად მიეწოდა ინგლისურენოვანი პროექტი. აღნიშნული დოკუმენტი ასევე იდო ავტორიზაციის დოკუმენტებშიც.
ცენტრის წარმომადგენელმა, ლალი ოდიშვილმა აღნიშნა, რომ მისთვის მიწოდებული იყო დღის პირველ ნახევარში დოკუმენტები 4 საქაღალდის სახით, რომელიც ასევე გაზიარებულია საბჭოსთან, ვიზიტზე გამოთხოვილი დოკუმენტებით. ხოლო დღის მეორე ნახევარში, გარდა პროგრამისა იყო ასევე პროგრამის ბიუჯეტზე საუბრი, რომელიც უნდა მოეწოდებინა უნივერსიტეტს თუმცა ცენტრის წარმომადგენლის განმარტებით აღნიშნული დოკუმენტები არ მიუღია.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ქათამაძემ აღნიშნა, რომ მას ქონდა დადასტურება მეილზე. რაზეც ცენტრის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ეს იყო ნაწილი დოკუმენტების შესახებ.
ცენტრის წარმოამდგენელმა, აღნიშნა, რომ ვიზიტის დღეს ელექტრონული ფოსტის საშუალებით მიიღო შემდეგი დოკუმენტები: საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები სილაბუსებით; კოლეგიალური შეფასება 5 დოკუმენტით; უნივერსიტეტების სია; ეკლესიის სოციალური სწავლების დებულება; ფაკულტეტის ოქმები 2 დოკუმენტი;
საბჭოს დავმჯდომარემ აღნიშნა, რომ გამოგზავნილი იყო ბრძანება ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ და თვითონ ბიუჯეტის გაშლა არ იყო დოკუმენტებში.
დაწესებულების წარმომადგენელმა, განმარტა, რომ თუ კი გამოთხოვლ იქნა აღნიშნული დოკუმენტები დაწესებულების მხრიდან აუცილებლად მოხდებოდა მისი მიწოდება. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით შესაძლებელია იყო ტექნიკური პრობლემა, თუმცა ამის მოგვარება შესაძლებელი იყო სატელეფონო ზარით.
საბჭოს თავმჯდომარემ ხაზი გაუსვა, რომ საბჭო მსჯელობდა წარმოდგენილი ფაქტებით, ხოლო ფაქტები არის დოკუმენტები. წარმოდგენილია ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ უსდ-ს რექტორის ბრძანება. საბჭოს წევრი დაინტერესდა იყო თუ არა პროგრამის ბიუჯეტი გაშლილი.
დაწესებულების წარმომადგენელმა, დიმიტრი გეგენავამ განმარტა, რომ თუკი გამოთხოვილი იყო აღნიშნული დოკუმენტები, დაწესებულების მხრიდან ნამდვილად გამოიგზავნებოდა.
საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა, რომ ბიუჯეტი არის სტანდარტის ძირითადი მოთხოვნა. საუბარი არ არის გამოთხოვაზე. პირდაპირ უნდა გამოეგზავნა ინსტიტუციას. დოკუმენტებში მითითებულია დანართი 1, რომელიც საბჭოს წევრის თქმით არ იძებნება დოკუმენტებში. საბჭოს წევრმა სთხოვა დაწესებულებას, გამოეგზავნათ ბიუჯეტის დოკუმენტი.
დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ აუცილებლად გამოაგზავნიდნენ დოკუმენტს კიდევ ერთხელ.
საბჭოს თავმჯდომრემ განმარტა, რომ საბჭო მსჯელობს ექსპერტთა ვიზიტი როდესაც განხორციელდა იმ დროს წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოებებით, დადებული დასკვნით და ა. შ. ამის შემდგომ ინსტიტუციის მიერ განხორციელებული გარკვეული ქმედება, კორექცია

იქნება თუ პრევენცია, ამას საბჭო ვერ მიიღებს. აქედან გამომდინარე არსებობს კითხვა, აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგინა თუ არა ინსტიტუციამ მაშინ როდესაც წარმოსადგენი იყო.
ექსპერტმა, მამა ილიამ, საერთაშორისო მითითებების შინაარსთან დაკავშრებულ შეკითხვაზე აღნიშნა, რომ მოთხოვნის შემდგომ წარმოდგენილი იყო 5 პროფესორის შეფასება, საიდანაც 3 იყო თესალონიკიდან, 1 - პოლონეთიდან და 1- შვეიცარიიდან. ჯამში იყო 3 ინსტიტუცია. დასმული იყო სამი ზოგადი კითხვა, რომელზეც გასცეს პასუხი. ერთადერთი იყო ფრიბურგის უნივერსიტეტის პროფესორმა თავისით დაამატა სამი რეკომენდაცია, რომლებიც ექსპერტის მოსაზრებით შინაარსობრივად გასათვალისიწინებელია. აღნიშნული საერთაშორისო შეფასებების ნახვამდე, საუბარი იყო ორ რეკომენდაციაზე პირველი ჩართვის დროს და სასიამოვნო აღმოჩენა იყო ის, რომ რეკომენდაცია გაუცია საერთაშორისო ექსპერტს.
საბჭოს წევრმა, ნინო იმნაძემ სთხოვა ექსპერტებს დაეზუსტებინათ, რომ მათი ძირითადი პრეტენზია პროგრამასთან იყო ის, რომ არ არის თავსებადი მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და პროგრამის სათაურთან.
ექსპერტმა, მამა ილიამ განმარტა, რომ მხოლოდ პროგრამას თუ გაეცნობოდნენ, რომელიც 5 გვერდიანია, არის ძალიან ზოგადი. იმდენად ზოგადია, რომ სათაური რომ შეეცვალოს შესაძლებელია ყველა ჰუმანიტარულ საგანს მოერგოს. პროგრამას აკლია კონკრეტიკა, ჩაშლები, გამონაკლისები.
საბჭოს თავმჯდომარემ შეახსენა ექსპერტს, რომ მის მიერ იყო გამოთქმული მოსაზრება, რომ პროგრამის სწავლის შედეგები და მიზნები შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.
ექსპერტმა ბრძანა, რომ ეს პროგრამა არის ზოგადი, ხოლო აღნიშნული მოსაზრება კონკრეტულ მონაკვეთში კონკრეტულ ადამიანებზე იყო ნათქვამი.
დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, სასწავლო კოპონენტები ასე ფორმულირდება იმიტომ, რომ ასეთია სტანდარტი. დიდი პროგრამა არ ნიშნავს, რომ პროგრამა კარგია. მისი თქმის ექსპერტის მსჯელობა მეტყველებს მის არაკომპეტენტურობაზე და არ იცნობს ქართული საგანმანათლებლო სივრცის პროგრამებს, არ იცნობს სხვა პროგრამებს, რომლებიც ამ სტანდარტით არის დაწერილი. ის, რომ დაწესებულებას აქვს 24 გვერდიანი სილაბუსი, სულაც არ ნიშნავს, რომ კარგი სილაბუსია. სწავლების და სწავლის სასწავლო კომპონენტის მიხედვით უნდა იყოს და თანამედროვე ბოლონიის პროცესის მიმართულება სწორედ ეს არის. სადოქტორო პროგრამა არ არის სასწავლო პროგრამა, სადოქტორო პროგრამა არის კვლევითი პროგრამა, რომლის მიზანი არის სპეციფიკური.
საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ განმარტა, რომ აკადემიური ჩარჩოებიდან გამოსვლა არის ყოვლად დაუშვებელი. საბჭოს წევრმა მოუწოდა ორივე მხარეს ნუ გამოვლენ აკადემიური ჩარჩოებიდან.
დაწესებულების წარმომადგენლმა ბოდიში მოუხადა დამსწრეებს თუკი მისმა აღელვებამ ვინმეს შეურაცხყოფა მიაყენა. მისი თქმით, სამწუხაროა ის ფაქტი, რომ ვიზიტის აუდიო და ვიდეო ჩანაწერი წაიშლებოდა, რადგან ეს პრობლემა მხოლოდ აღნიშნული საბჭოს სხდომაზე არ დაწყებულა. სწორედ ამიტომ სურდათ დაწესებულების წარმომდგენლებს სხდომის აუდიო ჩანაწერი. მისი თქმით ინსტიტუცია ბოლომდე იბრძოლებს, რადგან ეს არის პრინციპის საკითხი. ხოლო ვნება და აღელვება გამოწვეულია იმით, რომ ჩადებულია შრომა, ექსპერტების მიერ დადებითად არის შეფასებული პროგრამა, ხოლო ექსპერტების მხრიდან, რომლებიც პირველად არიან განათლების სისტემაში და ერთი პრიზმიდან უყურებენ ყველაფერს მისი თქმით შეურაცხმყოფელია.

ექსპერტმა, მამა ეფრემმა განაცხადა, რომ იგივე პათოსი იგრძნობოდა პირველივე შეხვედრაზე, რასთან დაკავშირებითაც ექსპერტის განმარტებით ძალიან დამცირებულად გრძნობდნენ თავს ასეთი გამოსვლების გამო, რისი ასახვაც მათ სურდათ ექსპერტთა დასკვნაში. არსებობს სამეცნიერო ეთოსი. ის, რომ კანონმდებლობა იძლევა თავისუფლებას, არ ნიშნავს, რომ ეს ყველაფერი საკუთარი ინტერესებით წარმართო.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ვაჟა ვარდიძემ განმარტა, რომ დაწესებულების წარმომადგენლების აღშფოთება გამოიწვია ზოგადმა ფორმულირებებმა. მისი თქმით, ვერცერთ მნიშნელოვან რეკომენდაციაზე არგუმენტები ვერ მოისმინეს. გარე შეფასებები ძირითადად არის დადებითი და დამაკმაყოფილებელი. მისი განმარტებით შეურაცხმყოფელია ექსპერტების გამოხატულება, თითქოს ექსპერტებმა ეს დასკვნები დადეს ყოველგვარი პროგრამის გაცნობის გარეშე.
საბჭოს წევრმა, ნიკა თიკანაშვილმა დააზუსტა, რომ სადოქტორო პროგრამის სპეციფიკა, უმაღლესი განათლების შესახებ კანონის შესაბამისად მოიცავს სასწავლო კომპონენტის მაქსიმალურ 60 კრედიტს. კვლევით კომპონენტს კრედიტი არ მიენიჭება. საბჭოს წევრი დაინტერესდა, თუ რომელი სასწავლო კურსებით უნდა გაძლიერდეს პროგრამა, რომ ჰქონდეს სრულყოფილი სახელი სტრუქტურაში.
ექსპერტის თქმით, აღნიშნულ საკითხს შეეხებოდა ექსპერტის ჰალინს ლებელის მე-2 რეკომენდაცია, რომელიც ამბობს, რომ ორი ქვე მიმართულება, რომელიც ამბობს, რომ თუკი ორი მიმართულება უზრუნველყოფილია პროგრამაში, რატომ არ არის მეორე ორიც. თუ საუბარია ცოდნის შევსებაზე, იმ აპლიკანტისთვის, რომელიც არ მოდის თეოლოგიური წინარე ცოდნით, მაშინ აღნიშნული ოთხივე კომპონენტი უნდა მიეწოდოს, რომ მან ეს თეოლოგიური ცოდნა შეივსოს.
აკაკი ჭელიძემ, აღნიშნა, რომ როდესაც თავად ისწავლა თეოლოგია, თავისი უნივერსიტეტი იყო პრობლემური, ვინაიდან არ იყო მიმართულება. მისი თქმით, მათ ისწავლეს თუ როგორ უნდა ეპოვნათ პასუხები, რადგან თეოლოგია არის ცოცხალი საგანი და ამიტომ უნდა მუდმივად ძიების პროცესში უნდა იყო.
18:00 საათზე საბჭოს შემოუერთდა დიანა მჭედლიშვილი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 18:36
დასრულების დრო: 19:27

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
√ **საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა** შპს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის „თეოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვის გადადებისა და შეფასების პროცესში დამოუკიდებელი ექსპერტების ჩართვის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
შპს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის „თეოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა გადაიდო და აკრედიტაციის დებულების 27[2] მუხლის მერვე პუნქტის საფუძველზე, საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს პროგრამის შეფასებაში ჩართულიყო დარგის დამოუკიდებელი ექსპერტი/ექსპერტები, საბჭოს სხდომის ზეპირ მოსმენაზე სათათბირო ხმის უფლებით.

მეორე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მშენებლობის ინჟინერიისა და მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1		მშენებლობის ინჟინერია და მენეჯმენტი

	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 21 თებერვლის № 01 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	მშენებლობის მენეჯმენტი
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-6 დონე
9	კვალიფიკაციის დასახელება	მშენებლობის ინჟინერიის და მენეჯმენტის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0788 ინტერდისციპლინური – მოიცავს ინჟინერიას, წარმოებას და მშენებლობას
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას ქ. № 68, თბილისი, სასწავლო კორპუსი N I, 0160, საქართველო
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√დიახ

თვითაცილება განაცხადეს ელიზბარ ელიზბარაშვილმა, ნინო ინასარიძემ, გაიოზ ფარცხალაძემ და დავით კაპანაძემ.

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.

დაწესებულებამ მიმართა საბჭოს შუამდგომლობით, რომ აღნიშნულ პროგრამაზე გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2021 წლის 13 დეკემბრიდან. საბჭომ დააკმაყოფილა შუამდგომლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

19:32 საათზე სხდომა დატოვა ელიზბარ ელიზბარაშვილმა.
მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, თეა კასრაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულება აღნიშნულ პროგრამას ახორციელებს 2014 წლიდან. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 21 თებერვლის #01 გადაწყვეტილებით მას მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია 2 წლის ვადით. პირობითი აკრედიტაციის მიღების შემდეგ პროგრამაში განხორციელდა ცვლილებები. საგანმანათლებლო პროგრამა და მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაში მოვიდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებასთან „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მოთხოვნებთან და მისანიჭებელი კვალიფიკაცია განისაზღვრა - „მშენებლობის ინჟინერიისა და მენეჯმენტის ბაკალავრი.“ აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2021 წლის 18-19 ოქტომბერს. 18 ოქტომბერს ვიზიტი განხორციელდა Zoom-ის საშუალებით. 19 ოქტომბერს ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის და ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლის მიერ ფიზიკურად განხორციელდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სამშენებლო ფაკულტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, სააუდიტორიო ოთახები, ლაბორატორიები, კაბინეტები და ა.შ) დათვალიერება. საგანამანათლებლო პროგრამა შესაბამისობაშია III, IV და V სტანდარტებთან, მეტწილად შესაბამისობაშია I და II სტანდარტთან.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. საჭიროა უსდ-მ ჩაატაროს შრომის ბაზრის სრულფასოვანი კვლევა, რათა ზუსტად დადგინდეს რამდენად არის ბაზარზე პროგრამის ფარგლებში მიღებული ცოდნისა და უნარების კადრებზე მოთხოვნა;
2. საჭიროა პროგრამის დაგეგმვის, განვითარების და შეფასების პროცესში დამსაქმებელთა მეტი ჩართულობა და მათი მოსაზრებების პროგრამაში ასახვა;
3. წერითი და ზეპირი კომუნიკაციები ნაცვლად არჩევითისა შეტანილი უნდა იქნეს სავალდებულო სასწავლო კურსების ჩამონათვალში და განისაზღვროს, როგორც საბაკალავრო პროექტზე დაშვების წინაპირობა;
4. საჭიროა პროგრამის სასწავლო კურსების ჩამონათვალს, თუნდაც არჩევითი კურსების ნაწილში, დაემატოს სასწავლო კურსი „ინვესტიციების საფუძველები“. არ შეიძლება ამ კურსის საკითხების ნაწილის (ინვესტიციური პროცესი და მონაწილე მხარეები, ინვესტიციების ბაზარი საქართველოში, ინვესტიციების სახეები, ინვესტიციების მოზიდვის წყაროები, ადგილობრივი ინვესტიციები, უცხოური ინვესტიციები; ინვესტიციების წარმოშობის წყარო, ინვესტიციების განთავსების სახელმწიფო პრიორიტეტები, ინვესტიციების განთავსებისათვის გადაწყვეტილების მიღების პროცესი) სწავლება ხდებოდეს „მშენებლობის მარკეტინგის“ სასწავლო კურსის ფარგლებში.
5. გადაიხედოს და მეტი სიზუსტით შეირჩეს შემდეგ სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობები: „მარკეტინგის პრინციპები“, „შესავალი ადამიანური რესურსების 5 მენეჯმენტში“, „საბუღალტრო აღრიცხვის საფუძვლები,“ „დეველოპმენტის საინვესტიციო-სამშენებლო პროექტის მენეჯმენტი“, „საბანკო საქმე“

6. გადაიხედოს სასწავლო კურსების: „მწვანე მშენებლობა“, „მშენებლობა და გარემო“, „ბიზნესის წარმოების საფუძვლები“, „მშენებლობის მარკეტინგი“, „სამშენებლო პროექტების მენეჯმენტი“ სილაბუსებით გათვალისწინებული შესასწავლი საკითხების შესაბამისობა სასწავლო კურსთან და სასწავლო კურსების მიზნები შესაბამისობაში მოვიდეს თემების შინაარსთან;
7. სავალდებულო ლიტერატურის ჩამონათვალში მიეთითოს სასწავლო კურსის შესაბამისი თანამედროვე ლიტერატურა, რომელშიც ასახული იქნება თანამედროვე კვლევები და ტენდენციები;
8. დაკორექტირდეს თემების გადაფარვები შემდეგ სილაბუსებში: „მშენებლობის ორგანიზება და დაგეგმვა“ და „შრომის უსაფრთხოება მშენებლობაში“; „გარემოს დაცვა და ეკოლოგია“ და „მშენებლობა და გარემო“;
9. **9.** უსდ-მ უზრუნველყოს პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის ინფორმირება მათი საქმიანობისა და შრომითი პოტენციალის შეფასებისათვის ჩატარებული გამოკითხვების შედეგებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით მახვილაძემ განმარტა, რომ მისაღები და კვალიფიციური იყო წარმოდგენილი დასკვნა. პროგრამის განვითარებასთან დკაავშირებული რეკომენდაციები სრულად იქნა გათვალისწინებული უნივერსიტეტის მიერ, უკვე არსებობდა პროექტი, რომელიც ფაკულტეტის საბჭოს დონეზე მოწონებულ იქნა და დარჩენილი იყო აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცება იმისათვის, რომ ეს რეკომენდაციები ყოფილიყო შესრულებული. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ორი რეკომენდაცია უკავშრდებოდა უშუალოდ შრომის ბაზარს, დამსაქმებლების განწყობას და ამასთან პროგრამის შესაბამისობას. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, აღნიშნული რეკომენდაციების არსებობა გასაგები არის დაწესებულებისთვის, თუმცა ფაქტობრივი მდგომარება არის რეალურად სხვა. რეალურად, გამოცდილებიდან გამომდინარე მაქსიმალური ყურადღება მიმართული იყო შრომის ბაზართან და დამსაქმებელთან, თუმცა ერთ-ერთი დამსაქმებლის წარმომადგენელი, რომელიც გამოსული იყო პანელზე და მისივე სურვილით მოვიდა უნივერსიტეტში, რათა ჩართულიყო და სწორედ ამიტომ აქვს დაწესებუელბას ინფორმაცია, რომ არ იყო შრომის ბაზარი სათანადოდ წარმოდგენილი ექსპერტების წინაშე. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, რეალურად უფრო მსუბუქია აღნიშნული რეკომენედაცია ვიდრე ინტერვიუირების მიხედვით იმსახურებდა დაწესებულება. უნივერსიტეტს არ აქვს ბერკეტები დამსაქმებლის წარმომადგენელი შესაბამისი უნარებით მდგომარეობაში გამოცხადდეს ექსპერტებთან. თუმცა, ექსპერტებს ჰქონდათ შესაძლებლობა თვითშეფასების ჯგუფის ფარგლებში, სხვა დამსაქმებლის წარმომადგენელთან ჰქონოდათ კომუნიკაცია და ამით ეხელმძღვანელათ. რეალურად დაწესებულებას არათუ ურთიერთობა აქვს დაწესებულებასთან, ასევე უშუალოდ განმახორციელებელი პერსონალის უმრავლესობა თავად არის დამასაქმებელი და გაშლილია შრომის ბაზარი პროგრამის პროფესორებითა და კურსდამთავრებულებით. არ არის არცერთი მსხვილი და საშუალო მასშტაბის კომპანია ამ სექტორში, რომელიც არ თანამშრომლობს დაწესებულებასთან. ასევე დაწესებულება თანამშრომლობს ინფრასტრუქტურის მშენებელთა ასოციაციასთან. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, რეალურად ის მდგომარეობა რაც არის აღნიშნულ პროგრამაზე შრომის ბაზართან დაკავშირებით, სრულად იძლევა იმ ინფორმაციას, რომ შრომის ბაზარი არის თავსებადი, რაზეც ასევე მეტყველებს 80%-იანი მაჩვენებელი ბაკალავრიატის დონეზე პროფესიით დამთავრებული კურსდამთავრებულებისა. ასევე მაღალია სწავლის გაგრძელების სურვილის მაჩვენებელი. უნივერსიტეტი იყენებს ყველა რესურს, საქსტატის ინფორმაციას, დამსაქმებელთა მოთხოვნებს. დარგობრივ ლიტერატურასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დარგის სპეციფიკის და განსახილველი საკითხების სპეციფიკურობის გათვალისწინებით, სახელმძღვანელოები ნამდვილად მოიცავს დარგის თანამედროვე ლიტერატურას. ხოლო იმ სასწავლო კურსებში, სადაც ბოლო წლების

გამო არ შექმნილა შესაბამისი უახლესი საგანმანათლებლო სახელმძღვანელოები, სასწავლო კურსების ავტორების მიერ მოხდა სასწავლო კურსების შინაარსის შესაბამისი სალექციო კურსების რიდერების დამუშავება, რომელიც მოიცავს დარგის თანამედროვე ტენდენციებს. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ამ მიმართულებით არის სამუშაო, თუმცა ახალი სახელმძღვანელოების შექმნის კუთხით რაზეც მისი თქმით მიმდინარეობს მუშაობა, რაზეც ასევე უნივერსიტეტის მხარდაჭრაც არის მიმართული. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით სხვა დანარჩენი რეკომენდაციები იყო ობიექტური და ინსტიტუცია იზიარებს მათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა, რომ ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფის წევრების ყველა რეკომენდაციას, თუმცა მე-4 რეკომენდაცია, რომელიც შეეხება ინსვესტიციის საუბრებს, სავარაუდოდ არ უნდა ეწეროს არჩევითი. ექსპერტებს ჰქონდათ სრული უფლება ეს განესაზღვრათ, როგორც სავალდებულო, რადგან სპეციფიკიდან გამომდინარე ინვესტიციები უნდა ისწავლებოდეს, როგორც სავალდებულო. ასევე, წინაპირობებთან დაკავშირებით, საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ ეთანხმებოდა რეკომენდაციის შინაარს და მისი თქმით დაამატებდა „ეკონომიკურ ფსიქოლოგიას“, რომელიც წინაპირობის გრეშე ისწავლება, „ფირმის საქმის მენეჯმენტი“, რომელიც ასევე წინაპირობის გარეშე ისწავლება. შრომის ბაზართან დაკავშირებით საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ ის რაც იყო წარმოდგენილი დაწესებულების მიერ იყო დასახვეწი აუცილებლად. საბჭოს წევრმა ასევე ხაზი გაუსვა ბიუჯეტთან დაკავშირებით და განმარტა, რომ „Word“-ის ფაილში არ არის რელევნტური ბიუჯეტის მომზადება.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს დეტალური და სკულპულოზური შეფასებისათვის, მისი თქმით, მენეჯმენტის მიმართულებით გაწერილი რჩევები და რეკომენდაციები გასათვალისწინებელი იქნება დაწესებულებისათვის. საბჭოს წევრის განმარტებით დასკვნაში არაფერი ეწერა სწავლების მეთოდებსა და შეფასების მეთოდებთან დაკავშირებით, ხოლო მენეჯმენტის ბლოკის სილაბუსებში იყო გაუგებრობები. საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ მიაქცია ამას ყურადღება ექსპერტთა ჯგუფმა და როგორ ახერხებს დაწესებულება 15 კვირის განმავლობაში 15 ჯერ შეფასოს სტუდენტი და ყოველ ჯერზე შეაფასოს 15 დავალებით და 15 ქვიზით. ასევე, როგორ ახერხებს დაწესებულება პრაქტიკულ სწავლის შედეგებზე გასვლას წერილობითი დავალებებით და ტესტებით. გარდა ამისა, სწავლის შედეგების შეფასების რუბრიკაში ზოგიერთი სასწავლო კურსი გადის პროგრამის მე-4 სწავლის შედეგეზე. საბჭოს წევრი ასევე დაინტერესდა სილაბუსთან დაკავშრებით „მშენებლების პროექტების მართვ“ა, სადაც 3 ძირითად სახელმძღვანელოდ მითითებულია ჩხაიძის, ქეშელაშვილ-ფარესაშვილის და სულაბერიძის სახელმძღვანელოები, სადაც საბჭოს წევრის განმარტებით სამშნებლო პროექტებზე საუბარი საერთოდ არ არის. სილაბუსის სწავლის შედეგები კონცენტრირებულია უშუალოდ პროექტების მართვაზე. საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ როგორ ხდება სწავლის შედეგების მიღწევა იმ რესურსებით, საერთოდ არაფერია ნათქვამი მშენებლობის მენეჯმენტზე. მენეჯმენტის საფუძლების სილაბუსში თითქმის 6 თემა შეეხება მენეჯმენტის მეთოდებს და არაფერია ნათქვამი ორგანიზაციის გარემოზე, სტრატეგიულ დაგეგმვაზე, თუმცა სილაბუსის სწავლის შედეგი პრაქტიკულია და სტუდენტი შეძლებს ამ ცოდნით გადაწყვეტილების მიღებას.

საბჭოს წევრი, ნიკა თიკანაშვილი დაინტერესდა დასაქმებასთან დაკავშირებით როგორი იყო მდგომარეობა პროგრამაზე. ასევე მოცემული „წინასაპროექტო პრაქტიკის“ სილაბუსში, საბჭოს წევრმა სთხოვა დაწესებულებას განემარტათ, თუ რომელ ორგანიზაციებში და რა მიმართულებით გადიოდნენ სტუდენტები პრაქტიკას და ასევე, ლაბორატორიული სამუშაოების კუთხით რამდენი დრო იყო დათმობილი და შესაბამისი მეთოდები. „თეორიული მექანიკის კურსი“ აღნიშნულ სილაბუსში შინარსობრივად განხილული იყო სხვადასხვა საკითხები, თუ საუბარი იყო თეორიულ მექანიკასა და სტატიკაზე ან თეორიული მექანიკა და დინამიკა, ხომ არ იქნებოდა უმჯობესი მათი გამიჯვნა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომერემ განმარტა, რომ ინვესტიციის საფუძვლებზე არჩევითობაზე მითითება მოხდა იმიტომ, რომ პროგრამა არის ინტერდისციპლინური და მოიცავს მშენებლობის და მენეჯმენტის სფეროებს. ექსპერტის თქმით, პროგრამაში ბევრი სავალდებულო საგანი იყო და აქედან გამომდინარე იყო მინიშნება, რომ იქნებ არჩევითად მაინც ჩაისვას აღნიშნული სასწავლო კურსი. ასევე სამშენებლო პროექტების მართვასთან დაკავშირებით ექსპერტმა აღნიშნა, რომ შესაძლებელია რეკომენდაციებში თითოეული საგანი არ იყოს დაკონკრეტებული თუმცა, დასკვნაში აღწერილობით ნაწილში განხილულია. სწავლის მეთოდებთან დაკავშირებით ექსპერტმა განმარტა, რომ ინტერვიუირებისას იყო ამაზე საუბარი და ექსპერტებმა ჩათვალეს, რომ მეთოდები რასაც იყენებდნენ და რაც სილაბუსებში არის მითითებული ამით შედეგებზე გასვლა ძირითადად შესაძლებელია.

საბჭოს წევრმა ეკატერინე ნაცვლიშვილმა დააზუსტა, რომ თუკი მშნებლობის პროექტების მართვაში არის გაწერილი თემატიკა და არ არის შესაბამისი ლიტერატურა მითითებული, თანაც შეფასების მეთოდებად შერჩეულია ძირითადად წერითი დავალებები მაშინ ლოგიკურად ჩნდება კითხვა სწავლის შედეგებზე, როომლებიც პრაქტიკული სახით არის ჩამოყალიბებული, როგორ გადის სტუდენტი.

ექსპერტთა თავმჯდომარემ განმარტა, რომ დასახელებულ საგანთან მიმართებაში ეთანხმებოდა საბჭოს წევრს.

საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ ეს სასწავლო კურსი პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისთვის და გაღრმავებისთვის ერთ-ერთი მნიშნელოვანია, თანაც პროგრამის მე-4 სწავლის შედეგზე აღნიშნული სასწავლო კურსით გადის.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით მახვილაძემ სასწავლო კურსის „ინვესტიციების საფუძვლების“ ნაწილში განმარტა, რომ ზოგადად პროგრამა არის ძალიან მძიმე და რთულია ყველაფრის ჩატევა. თემატიკა, როგორც წესი კონკრეტულ სასწავლოკურსთან მიმართებით ცალ-ცალკე ისწავლება, უბრალოდ ამ პროგრამის შემთხვევაში იქნა ამ ფორმით წარმოდგენილი სილაბუსი. დაწესებულების წარმომადგენელმა დააზუსტა, რომ დაწესებულება იმოქმედებს რეკომენდაციების შესაბამისად. შრომის ბაზრის კვლევასთან დაკაავშრებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეს იყო ის შემთევა, როდესაც შრომის ბაზარს ფლობს პროგრამა თუმცა არ ვარგა ფორმა. ინსტიტუციას სჭირდება დრო რათა საბოლოოდ ჩამოყალიბდეს. თუმცა აღნიშნული პროგრამა და ფაკულტეტი დამსაქმებელთან მიმართებაში ბოლომდე ჩართულები არიან, როგორც პროფესორი დამსაქმებლები, როგორც კურსდამთავრებული დამსაქმებელი. ბიუჯეტის Word-ის სახით წარმოდგენასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ შესაძლებელია ეს იყო ტექნიკური ხარვეზი. შეფასების მეთოდებთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მათი სისსტე იყო სილაბუსების რაოდენობიდან გამომდინარე. ინსტიტუცია ეტაპობრივად ცდილობს დაიხვეწოს. 15 კვირა და 15 შეფასება ინსტიტუციაში მოქმედებს მწყობრად და გამართულია. წერით დავალებებთან და ტესტირებასთან დაკავშირებით, დაწესებულების წრმომადგენლის თქმით მთავარი გამოწვევა არის, მაქსიმალურად კურსის სფეციფიკასთან იყოს დაკავშირებული.

საბჭოს წევრმა ეკატერინე ნაცვლიშლიმა აღნიშნა, რომ მისთვის გასაგები იყო ის ფაქტი რომ 30 ქულის ორ აქტივობად გაყოფა ძალიან მარტივია, მაგრამ გაუგებარია, როდესაც 15 ქვიზი ტარდება 15 კვირის განმავლობაში და ქვიზის შეფასებისას წერია, რომ ყოველ კვირეულად სტუდენტები აბარებენ წინა და მიმდინარე მეცადინეობის მასალას ღია კითხვების და წერითი ფორმით. საბჭოს წევრი დაინტერესდა, პირველ კვირას, როდესაც პირველად შეხვდა ლექტორი სტუდენტებს და აუხსნა მასალა, მეორე საათზე როგორ აწერინებს ქვიზს.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით მახვილაძემ განმარტა, რომ 15 კვირის განმავლობაში 15 საკითხი, რომ იხსნება 15-ივე საკითხზე გხდება გამოკითხვა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ? 01:41:34, აღნიშნა, რომ არსებობს თეორიული მექანიკა, სტატიკა, დინამიკა, კინემატიკა და კინეტიკა. არსებობს პროგრამა მშენოებლობა, სადაც ეს სასწავლო კურსი გაზრდილი კრედიტებით ისწავლება, რადგან ლოგიკურად არის აწყობილი საგანთა ჯგუფი. თეორიული მექანიკა წინაპირობაა, მასალათა გამძლეობის, მასალათა

გამძლეობა სამშენებლო მექანიკის, სამშენებლო მექანიკა კონსტრუქციების. თუმცა რადგან განსახილველი პროგრამა არის ინტერდისციპლინური, გაზრდილი კრედიტებით სასწავლო კურსს ვერ მიაწვდიდნენ პროგრამას, თუმცა პროგრამის წარმომადგენლების მიზანი იყო მოეცვა ყველა საკითხი. ამიტომ დაერთქვა აღნიშნულ სასწავლო კურსს „თეორიული მექანიკის“ კურსი.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, ლაბოლატორიებში დანადგარებთან მიმართებაში, რამდენად არის უზრუნველყოფილი პროგრამის სწავლის შედგებზე გასვლას.
ექსპერტთა თავმჯდომარემ განმარტა, რომ რეალურად ნამდვილად იყო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. მისი თქმით, უნივერსიტეტს ნამდვილად აქვს საკმარისი მატერიალურ ტექნიკური ბაზა, რომ დარგის სპეციალისტები მაღალ დონეზე იყვნენ მომზადებულები.
დაწესებულების წარმომადგენელმა, (04:44:25 ?) 15 შეფასებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ როგორც პროგრამის ხელმძღვანელი ცდილობს, რომ პროცესები წარიმართოს იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს იმ სილაბუსის გათვალისწინებით, როგორც უნდა აღიარდეს სტუდენტის შეფასება ისეთი დამოკიდებულებით შესაძლებელი გახდეს აღქმა იმისა, თუ როგორ შეიმეცნა სტუდენტმა, სალექციო ტემატიკიდან გამომდინარე ის შინაარსი, რომელიც გადასცა ლექტორმა ივამე დღესვე, კითვა პასუხის რეჟიმში, რომელსაც სალექციო პერიოდიდან ეთმობა 10-12 წუთი. პედაგოგმა, უნდა გამოიცნოს რამდენად არის აღქმული სტუდენტების მიერ მასალა. შემდგომ ამისა, ეგაზვნებათ სტუდენტებს იდივიდუალური დავალება, რომელიც მომდევნო ლექციაზე ბარდება წერითი სახით. ასევე არის პრაქტიკული მეცადინეობები. ლაბორატორიული სამუშაოები ძირითად მიმდინარეობს ქიმიაში, ფიზიკაში, საშენი მასალები. დაწესებულების წარმომადგენელმა, განმარტა, რომ ექსპერტთა რეკომენდაციები გაითვალისწინა ინსტიტუციამ.
დაწესებულების წარმომადგენელმა დააყენა შუამდგომლობა, რომ იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნულ პროგრამას აკრედიტაციის ვადა ააქვს 13 დეკემბრამდე და ნებისმიერი გადაწყვეტილება 13 დეკემბრიდან, რომ შევიდეს ძალაში.
სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.
დაწყების დრო: 20:16
დასრულების დრო: 20:40

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
√ **საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მშენებლობის ინჟინერიის და მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წელში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ, 2.5, 2.6 და 5.1 ქვეკომპონენტები ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ განსაზღვრა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, თუმცა მოცემული შეფასებების ცვლილებას სტანდარტის შეფასება არ შეუცვლია.

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები და ჩამოაყალიბა შემდეგნაირად:

რეკომენდაციები:

1. საჭიროა უსდ-მ ჩაატაროს შრომის ბაზრის სრულფასოვანი კვლევა, რათა ზუსტად დადგინდეს რამდენად არის ბაზარზე პროგრამის ფარგლებში მიღებული ცოდნისა და უნარების კადრებზე მოთხოვნა;

2. საჭიროა პროგრამის დაგეგმვისა, განვითარების და შეფასების პროცესში დამსაქმებელთა მეტი ჩართულობა და მათი მოსაზრებების პროგრამაში ასახვა;
3. წერითი და ზეპირი კომუნიკაციები ნაცვლად არჩევითისა შეტანილი უნდა იქნეს სავალდებულო სასწავლო კურსების ჩამონათვალში და განისაზღვროს, როგორც საბაკალავრო პროექტზე დაშვების წინაპირობა;
4. საჭიროა პროგრამის სასწავლო კურსების ჩამონათვალს, თუნდაც არჩევითი კურსების ნაწილში, დაემატოს სასწავლო კურსი „ინვესტიციების საფუძველები“. არ შეიძლება ამ კურსის საკითხების ნაწილის (ინვესტიციური პროცესი და მონაწილე მხარეები, ინვესტიციების ბაზარი საქართველოში, ინვესტიციების სახეები, ინვესტიციების მოზიდვის წყაროები, ადგილობრივი ინვესტიციები, უცხოური ინვესტიციები; ინვესტიციების წარმოშობის წყარო, ინვესტიციების განთავსების სახელმწიფო პრიორიტეტები, ინვესტიციების განთავსებისათვის გადაწყვეტილების მიღების პროცესი) სწავლება ხდებოდეს „მშენებლობის მარკეტინგის“ სასწავლო კურსის ფარგლებში.
5. გადაიხედოს და მეტი სიზუსტით შეირჩეს შემდეგ სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობები: „მარკეტინგის პრინციპები“, „შესავალი ადამიანური რესურსების მენეჯმენტში“, „საბუღალტრო აღრიცხვის საფუძვლები,“ „დეველოპმენტის საინვესტიციო-სამშენებლო პროექტის მენეჯმენტი“, „საბანკო საქმე“, „ეკონომიკური ფსიქოლოგია“, „ფირმის საქმის წარმოების მენეჯმენტი“;
6. გადაიხედოს სასწავლო კურსების: „მწვანე მშენებლობა“, „მშენებლობა და გარემო“, „ბიზნესის წარმოების საფუძვლები“, „მშენებლობის მარკეტინგი“, „სამშენებლო პროექტების მენეჯმენტი“, „ მენეჯმენტის საფუძვლები“ და „შესავალი ადამიანური რესურსების მართვაში“ სილაბუსებით გათვალისწინებული შესასწავლი საკითხების შესაბამისობა სასწავლო კურსთან და სასწავლო კურსების მიზნები და სწავლის შედგები შესაბამისობაში მოვიდეს თემების შინაარსთან;
7. რეკომენდირებულია რიგ სასწავლო კურსებში გადაიხედოს ლიტერატურა და შეირჩეს თემატიკის შესაბამისი სასწავლო მასალები;
8. დაკორექტირდეს თემების გადაფარვები შემდეგ სილაბუსებში: „მშენებლობის ორგანიზება და დაგეგმვა“ და „შრომის უსაფრთხოება მშენებლობაში“; „გარემოს დაცვა და ეკოლოგია“ და „მშენებლობა და გარემო“;
9. რეკომენდირებულია ცალკეულ სასწავლო კურსებში სწავლების მეთოდები დაზუსტდეს კურსის შინაარსისა და სწავლის შედეგების შესაბამისად;
10. რეკომენდებულია, სასწავლო კურსის შეფასების თითოეული კომპონენტი და მეთოდი ითვალისწინებდეს შესაბამისი კურსის სპეციფიკას;
11. უსდ-მ უზრუნველყოს პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის ინფორმირება მათი საქმიანობისა და შრომითი პოტენციალის შეფასებისათვის ჩატარებული გამოკითხვების შედეგებით;
12. რეკომენდებულია ამოქმედდეს შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმები სწავლის შედეგების მიღწევადობის უზრუნველსაყოფად.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

სასურველია გადაიხედოს მენეჯმენტის მიმართულების სასწავლო კურსების ადგილი პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაში და ჩასწორდე ხარვეზი კურიკულუმის რუკაში;
კარგი იქნება თუ უსდ სტუდენტებს, რომლებმაც ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩააბარეს სხვა უცხო ენა და აქვთ პროგრამით გათვალისწინებული რომელიმე სხვა უცხო ენის შესწავლის სურვილი, შესთავაზებეს უცხო ენის კურს დამწყებთათვის, რომლის გავლის შემდეგაც სტუდენტები დაიშვებიან შესაბამისი უცხო ენა 1-ის კურსზე;

სტუდენტთა საგამოცდო ნაშრომების შეფასების დროს სასურველია უსდ-მ უზრუნველყოს ანონიმურობის დაცვა;
უსდ-მ უზრუნველყოს კონფერენციებში, კვლევებში, მობილობის პროგრამებში და სხვა მსგავს სასწავლო და კვლევით ღონისძიებებში სტუდენტთა მონაწილეობის გააქტიურების მიზნით სხვადასხვა საინფორმაციო, წამახალისებელი და ხელშემწყობი აქტივობების განხორციელება;
ვინაიდან პროგრამა ინტერდისციპლინურია, სასურველია უსდ-მ უზრუნველყოს როგორც მშენებლობის ინჟინერიის, ისე მენეჯმენტის სფეროს აკადემური პერსონალის თანაბარი ჩართულობა სამეცნიერო კვლევებში;
უსდ-მ უზრუნველყოს პროგრამის სტუდენტების ინფორმირება ელექტრონული სამეცნიერო ბაზსასურველია, სტუდენტთა ინფორმირების მიზნით ლაბორატორიებში დანადგარებზე გაკეთდეს აგრეთვე ქართული მანიშნებლები.ების შესახებ;

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მშენებლობის ინჟინერიის და მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

მესამე საკითხი: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მშენებლობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მშენებლობა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2012 წლის19 აპრილის No114 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	მშენებლობა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	მშენებლობის ინჟინერიის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11		

	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	მშენებლობა და სამოქალაქო ინჟინერია, 0732
12	კვალიფიკაციის კოდი	0732
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
15	განხორციელების ადგილი	ახალგაზრდობის 98, სასწავლო კორპუსი 7,8,9; ქუთაისი. საფოსტო ინდექსი 4600; საქართველო
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ირმა ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ ვიზიტი განხორციელდა 2021 წლის 5 ოქტომბერს, ვიზიტი შედგა დისტანციურად, კერძოდ, Zoom-ის პლატფორმის დახმარებით. ვიზიტის განმავლობაში აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, თვითშეფასების ჯგუფს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, პროგრამის ხელმძღვანელს, აკადემიურ პერსონალს, სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს, პოტენციურ დამსაქმებლებსა და ბიბლიოთეკის წარმომადგენელს. ექსპერტებმა ვიზიტისასდის ტანციურად დაათვალიერეს ლაბორატორიები, აუდიტორიები და ბიბლიოთეკა. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მშენებლობის სამაგისტრო პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2012 წლის 19 აპრილის №114 გადაწყვეტილებით. ექსპერტმა ჩამოთვალა საუკეთესო პრაქტიკის მაგალითები: - უცხოელი პროფესორების ჩართვა პროგრამის განხორციელებაში. - აფილირებული პერსონალის წახალისების მექანიზმების (ერთჯერადი ფულადი ჯილდო, პრემია, ხელფასის დანამატი) არსებობა და გამოყენება პრაქტიკაში. - თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი სტუდენტის საჭიროებებზე მორგებული საბიბლიოთეკო ფონდი. - პროგრამის ფარგლებში ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა. სტუდენტთა გასვლა ლაგულას (იტალია) უნივერსიტეტში. ექსპერტის თქმით, მეორე სტანდარტთან დაკავშირებით - პროგრამა მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს. რაც შეეხება დანარჩენ ოთხ სტანდარტს, პროგრამა სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. (2.2) მიზანშეწონილია, კურიკულუმის ერთ-ერთი ნაწილის, კერძოდ, „პროგრამის ქართულენოვანი კონცენტრაციის ფარგლებში არჩევითი სასწავლო კურსებისთვის დადგენილ კრედიტებთან (40 კრედიტი) დაკავშირებულ ჩანაწერსა და სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ „ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი სავალდებულო კურსების“ კრედიტების მაჩვენებელს შორის არსებული წინააღდეგობა აღმოიფხვრას.

უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიციისს მიხედვით დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში იყო დაშვებული უზუსტობა და არ ფიქსირდება „სამშენებლო კონსტრუქციების“ ქართულენოვანი კონცენტრაციის არსებობა. აღნიშნული კონცენტრაცია ვერც თვითშეფასებისა და კურიკულუმის „პროგრამის სტრუქტურის“ აღწერითი ნაწილის ჩანაწერებში იკითხება. ამასთან, არც დაწესებულების წარმომადგენლებს გაუმახვილებიათ ყურადღება აღნიშნულზე ინტერვიურებისას. მართალია, უნივერსიტეტი თქმით, ტექნიკური უზუსტობაა დაშვებული, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ ექსპერტებთა მოქმედების არეალი შეზღუდულია გარკვეული ფარგლებით; მათ ევალებათ, იხელმძღვანელონ დაწესებულების მიერ ვიზიტამდე და ვიზიტის პროცესში წარმოდგენილი დოკუმენტებით, ასევე, ინტერვიუს დროს აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებებით. ამ თვალსაზრისით, უნივერსიტეტის არგუმენტირებული პასუხი არარელევანტურია ჩვენ მიერ გამოთქმულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით. ექსპერტები არ არიან უფლებამოსილი, ვიზიტის დასრულების შემდეგ სხვა (ახალ) გარემოებაზე იმსჯელონ. შესაბამისად, შეფასებაზე გავლენა არ მოუხდენია.

1. (2.3) სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული თემების გადაფარვის პრობლემა აღმოიფხვრას.
2. (2.4) გაიზარდოს სტუდენტების ჩართულობა ადგილობრივ/საერთაშორისო კონფერენციებში, სამეცნიერო პროექტებსა და გრანტებში.
3. (4.2) უნივერსიტეტმა უფრო მეტად იზრუნოს პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო პროდუქტიულობის ამაღლება - შენარჩუნებაზე, პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე.
4. (5.1) - რეკომენდებულია, რამდენიმე დოკუმენტის (უმაღლესი (აკადემიური) საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ინსტრუქციის (დანართი 4-EP-QA 1.1), უმაღლესი (აკადემიური) საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ინსტრუქციის (დანართი 4-EP-QA 1.1), უმაღლესი (აკადემიური) საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ინსტრუქციის (დანართი 4-EP-QA 1.1) ჩანაწერების შესაბამისობაში მოყვანა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან.

ექსპერტის თქმით, ექსპერტებისათვის მიწოდებულ დოკუმენტაციაში დარჩენილი არის ისეთი ჩანაწერები, როგორიც არის „ პროგრამის ფარგლებში არსებული მოკლე ციკლი“ „შუალედური კვალიფიკაცია“ და ა. შ. აქედან გამომდინარე გაიწერა აღნიშნული რეკომენდაცია. ექსპერტთა ჯგუფმა შეამოწმა არგუმენტირებულ პოზიციაში მითითებული ბმული, სადაც წარმოდგენილია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 15 ივლისის დადგენილება. „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების პოლიტიკებში ცვლილებების შეტანის შესახებ“. ექსპერტებს არ ჰქონდათ წვდომა უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებულ დანართებზე, რათა გაცნობოდნენ განხორციელებულ ცვლილებებს. რეკომენდაციის სტატუსის შეცვლას ექსპერტთა ჯგუფი ვერ გაიზიარებს, ვინაიდან იხელმძღვანელეს დაწესებულების მიერ ვიზიტამდე და ვიზიტის პროცესში წარმოდგენილი დოკუმენტებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა, თეა კორძაძემ კომენტარი გააკეთა ბოლო რეკომენდაციაზე და აღნიშნა, რომ ადრე, როდესაც დაწესებულებამ ცენტრში გადააგზავნა აკრედიტაციაზე წარდგენილი პროგრამა, იმ პერიოდისათვის დამტკიცებული არ იყო განახლებული „ფიუ“ პოლიტიკები უნივერსიტეტებში. აკადემიურ საბჭოზე განახლებული „ფიუ“ პოლიტიკის დამტკიცება მოხდა ივლისის თვეში და შეცდომის შედეგად ექსპერტებს ვიზიტის დროს მიეწოდათ დოკუმენტების ისევ ძველი ვარიანტები. არგუმენტირებული პასუხის დროს, დაწესებულებამ ელექტრონული ბმულიც მიუთითა და ექსპერტებს ინფორმაციაც მიაწოდა, რომ ეს დოკუმენტები განახლებული იყო. თუმცა მათ კვლავ დაუშვეს შეცდომა და აღნიშნული ინფორმაცია ვებ-გვერდზე განათავსეს ისე, რომ წვდომისათვის საჭირო იყო „ლოგინისა“ და „პაროლის“ გამოყენება, რაც გადაგზავნილი არ იყო ექსპერტებთან. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მიუხედავად აღნიშნული ხარვეზისა, შეუძლია დარწმუნებით თქვას, რომ აკადემიურმა საბჭომ მიიღო პოლიტიკის განახლებული დოკუმენტები და ის შეცვლილი იყო სტანდარტების, სწავლის სფეროს კლასიფიკატორთან და კვალიფიკაციის ჩარჩოსთან შესაბამისობით.
დაწესებულების წარმომადგენელმა, პაატა გერაძემ განმარტა, რომ სასწავლო გეგმის გადაგზავნისას შესაძლოა ადგილი ჰქონდა ტექნიკურ ხარვეზს, რის შედეგადაც ერთ-ერთი კონცენტრაციის სახელწოდება - „სამშენებლო კონსტრუქციები“, უბრალოდ გაქრა გვერდებს შორის, რამაც გაუგებრობა გამოიწვია. დაწესებულების წარმომადგენელი ეთანხმებოდა ექსპერტების მოსაზრებას, რომ მათ ნახეს დოკუმენტი, რომელშიც ტექნიკური ხარვეზი იყო. დანარჩენ რეკომენდაციებთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეთანხმებიან რეკომენდაციებს და გაითვალისწინებენ მათ შენიშვნებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, გაიოზ ფარცხალაძემ შეკითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს და აღნიშნა, რომ რკინა-ბეტონის კონსტრუქციების სასწავლო კურსში განხილული იყო თემები, მაგალითად ასევე ბზარების გაჩენაზე, ეს ხომ არ ჰგავდა უფრო ბაკალავრიატის თემატიკას და დაწესებულებას უფრო წინ ხომ არ უნდა წამოეწია, მაგალითად ჩარჩოები, წამწეები, წინასწარ დაძაბული კოჭები და თაღები. საბჭოს წევრმა ასევე აღნიშნა, რომ ლითონის კონსტრუქციებში იყო განხილული ბევრი კონსტრუქციები, თუმცა საკითხი დასმულია მონტაჟზე და დამზადებაზე. საბჭოს წევრი დაინტერესდა, ხომ არ იფიქრებდა ინსტიტუცია, რომ თუნდაც ტექნოლოგია შემოეტანათ ამ პროგრამაში, მშენებლობის ტექნოლოგიასთან ერთად ასევე მშენებლობის ორგანიზაცია და მართვის სპეციალური კურსის დამატებაზე.
საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა, რომ შრომის ბაზრის კვლევა იყო გაუგებარი, ვინ და რამდენი ადამიანი იქნა გამოკითხული. მისი თქმით გასაგები იყო, რომ აშშ-ში სამშენებლო სექტორში ბევრი ადამიანი იყო დასაქმებული. საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ რა კავშირი ჰქონდა ამას პროგრამასთან. საბჭოს წევრმა ასევე განმარტა, რომ ბიუჯეტთან მიმართებაში იყო გაუმჯობესების მცდელობა, თუმცა ისევ ისე იყო წარმოდგენილი. სამაგისტრო ნაშრომებთან დაკავშირებით, საბჭოს წევრის განმარტებით, პირველი რამაც გააკვირვა, იყო ლიტერატურის სიმწირე, ასევე ძველი და რუსულენოვანი ლიტერატურა. საბჭოს წევრმა ხაზი გაუსვა მესამე ნაშრომს, სადაც მისი თქმით ლიტერატურაში მითითებული იყო „ქართლის ცხოვრება“, „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“ და „ქართველი ერის ისტორია“. საბჭოს წევრი დაინტერესდა რაში იყო საჭირო აღნიშნული, რა აუცილებლობა იყო სამაგისტრო ნაშრომში 3 წყაროს მითითება ისტორიაზე. საბჭოს წევრის თქმით, დარჩა შთაბეჭდილება, რომ ნაშრომების შესრულების დონე არადმაკმაყოფილებელია, ის არ შეესაბამება სწავლის საფეხურს.
საბჭოს წევრმა, მაკა კაჭრავამ განმარტა, რომ პროგრამის მიღების წინაპირობაში, იქ სადაც ინგლისური ენის B2 დონეზე არის მოთხოვნა და არის ჩანაწერი „ინგლისურენოვანი კონცენტრაციის არჩევის შემთხვევაში“ საბჭოს წევრი დაინტერესდა, თუ რატომ იყო მხოლოდ

ინგლისურ ენოვანიკონცენტრაციის. მისი თქმით, ეს იყო სამაგისტრო საფეხური და უნდა ყოფილიყო ქართულენოვანი კონცენტრაციაც, რადგან მაგისტრანტი უნდა გაეცნოს უცხოენოვან ლიტერატურას სამაგისტრო ნაშრომის წერის პროცესში. საბჭოს წევრმა კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფს სილაბუსის დახვეწასთან დაკავშირებით, სადაც ექსპერტებს თავიდან ნახსენები აქვთ ტექნიკური ხარვეზი, რომელიც საბჭოს წევრის შეფასებით ალბათ ვერ იქნებოდა რეკომენდაცია. სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები, რომლებიც 100 ქულიანი და ერთჯერადია, შედგება 10 შეფასების კომპონენტისაგან. ყველა კომპონენტს აქვს მინიჭებული 10 ქულა. რამდენად სწორი იყო, რომ ყველა კომპონენტი ყოფილიყო ერთნაირი წონის და შეფასების. მაგალითად, იგივე პრეზენტაციის უნარს და კვლევის ხარისიხს როგორ შეიძლებოდა ერთნაირი ქულა მინიჭებოდა. საბჭოს წევრი დაინტერესდა, ამას ხომ არ გულისხმობდნენ ექსპერტები სილაბუსის დახვეწაში.

საბჭოს წევრმა, ნინო ინასარიძემ დააფიქსირა აზრი, რომ პროგრამა ნამდვილად იყო საინტერესო. საბჭოს წევრი დაინტერესდა წინაპირობასთან დაკავშირებით, თუ რა მომენტში ირჩევს მაგისტრანტი ინგლისურენოვან კონცენტრაციას, რადგან მითითებულია, რომ ინგლისურენოვანი კონცენტრაციის არჩევის შემთვევაში, ის აბარებს B2 დონის გამოცდას. ასევე, მან აღნიშნა, რომ გადახედა პროგრამას და იყო სპეციფიური საგნები, აქედან გამომდინარე დიანტერესდა, თუ რამდენად შეუძლია არა „მშენებლობის“ ბაკალავრს დაძლიოს ეს პროგრაამა და თუ არიან პროგრამაზე მსგავსი სტუდენტები. ასევე, სამაგისტრო ნაშრომის სპეციფიკასთან დაკავშირებით, საბჭოს წევრმა განმარტა, რომ 10 კრიტერიუმი შეფასებულია 10 ქულით, 1, 2, 4, 8 და 9 კრიტერიუმი არის სხვადასხვა წონის და უნდა იყოს განსხვავებული შეფასების. საბჭოს წევრი დაინტერესდა იყო თუ არა სამაგისტრო ნაშრომი სრულიად თეორიული, რადგან მითითებული გაფორმების ინსტრუქცია, საიდანაც არის ამოღებული როგორ ფორმდება. ზოგიერთ სამაგისტრო ნაშრომს აქვს ისეთი სათაური, რომელსაც უნდა მოყვებოდეს პროექტი. ასევე კონცენტრაციებთან დაკავშირებით, რატომ არის განსხვავებული კრედიტები. რამდენიმე სილაბუსში არის ისეთი პრაქტიკული სამუშაოები, რომლებსაც გარკვეული მეთოდური მითითება სჭირდება, თუ როგორ უნდა შეასრულოს ეს დავალება. მიუხედავად იმისა რომ მითითებულია 2011 წლის ლიტერატურა, შესაძლებელია მეთოდური მითითება იყოს აღმოჩენილი ძრითადი ლიტერატურის ნუსხაში. საბჭოს წევრის თქმით, აღნიშნული საკითხი დაწესებულების გადასაწყვეტია. საბჭოს წევრის დაინტერესდა, საბოლოო ჯამში სამაგისტრო პროგრამა უფრო თეორიულია თუ მიმართულია პრაქტიკაზე.

საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა იკითხა თუ რამდენი იყო პროგრამაში ინგლისურენოვანი კონცენტრაციის რეალური აზრი და ეფექტურობა. ინგლისურენოვან კონცენტრაციაზე ირჩევენ რამოდენიმე საგანს, თუმცა სტუდენტები წინარე საგნებს მაინც ქართულად სწავლობენ და შემდგომში ინგლისურენოვანის საკითხები არსად არ ჩნდება დისერტაციულ ნაშრომებში.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ირმა ღარიბაშვილმა განმარტა, რომ ვიზიტის პროცესში ჰქონდათ ჩართვა პარტნიორ უნივერსიტეტთან, სადაც სტუდნეტები მიდიან, თუკი აიჩევენ ინგლისურენოვან კონცენტრაციას. მათი მხრიდან გამოითქვა მოსაზრება, რომ მათი უნივერსიტეტი მზაობას გამოხატავდა იმასთან დაკავშირებით, რომ ხელი შეეწყოთ სტუდენტების გასვლისთვის. მათ აქვთ ფინანსურად შესაძლებლობა, რომ ყოველწლიურად მიიღონ 6 სტუდენტი. 2020 წელს, ორი სტუდნეტი იყო ჩასული იტალიაში, სადაც გაიარეს პირველი წელი. როდესაც სტუდენტი გადაწყვეტს, რომ აირჩიოს ინგლისურენოვანი კონცენტარცია, პირველივე სასწავლო წელს მიემგზავრება და ინგლისურ ენაზე უნივერსიტეტის ლიტერატურით და სრული რესურსით გადის. ინსტიტუცია თანამშრომლობს სხვადასხვა ქვეყნებთან და იწვევენ სტუდენტებს სხვადასხვა ქვეყნებიდან. 2021 წელს ერთი სტუდენტი არის წასული. პარტნიორ უნივერსიტეტს აქვს სურვილი ყოველწლიურად მიიღოს 6 სტუდენტი და სწორედ იქ არის ინგლისურენოვანი სასწავლო რესურსი და ხდება სტუდენტების უზრუნველყოფა. **B2** დონესთან დაკავშრებით ექსპერტმა განმარტა, რომ იზიარებდა საბჭოს წევრების მოსაზრებას.. თუმცა, სავარაუდოდ დაწესებულებამ განსაზღვრა იმიტომ, რომ თუკი

სტუდენტი აირჩევს კონკრეტულ კონცენტრაციას დააწესეს აღნიშნული საკითხი. სამაგისტრო ნაშრომებთან დაკავშრებით ექსპერტმა განმარტა, რომ იზიარებდა საბჭოს წევრების პოზიციას და კრიტერიუმებთან დაკავშირებით იყო სამაგისტრო ნაშრომის განხილვა დაწესებულების წარმომადგენლებთან. მან აღნიშნა, რომ შესაძლებელია შეფასებების გადანაწილების გადახედვა.
ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, მიხეილ ბიჭიამ განაცხადა, რომ განათლების, მეცნიერებისა და სპორტის მინისტრის ბრძანების მიხედვით არის განსაზღვრული, რომ თითოეული კონცენტრაციისათვის უნდა იყოს განსაზღვრული სწავლის შედეგი, რომლებმაც წვლილი უნდა შეიტანონ პროგრამის სწავლის შედეგების ფორმულირებაში. ამ მიზნით წარმოდგენილი იყო კონკრეტული კონცენტრაციები. საგანამანათლებლო პროგრამაში კონცენტრაციის არსებობა საბოლოო ჯამში არ ცვლიდა უშუალოდ სწავლის სფეროს და მისანიჭებელ კვალიფიკაციასაც. მან ასევე განმარტა, რომ ამავე დროს დაცული უნდა იყოს 50 %-იანი ნიშნული, კერძოდ უმაღლესი განათლების მეორე საფეხურისთვის საგანმანათლებლო დაწესებულებაში კონცენტრაცია უნდა ითვალსიწინებდეს მინიმუმ პროგრამის კრედიტების რაოდენობის 50 %-ს. მოცემულ შემთხვევავში პრობლემა იყო იმ კონტექსტში, რომ კონცენტრაციების არჩევითობის პრინციპი ვერ იქნებოდა დაცული სათანადოდ იმ გადანაწილებით, რა გადანაწილებაც პასუხში იყო შემოთავაზებული, კერძოდ, 3 კონცენტრაციის ცალ-ცალკე გამოყოფის შემთვევაში, გამოდიოდა, რომ არჩევითი იძენდა სავალდებულო ხასიათს. აქედან გამომდინარე ჩამოყალიბდა რეკომენდაცია, რომელიც შეეხებოდა კონცენტრაციებს. სამაგისტრო ნაშრომების კრიტერიუმებთან დაკავშირებით ექსპერტმა განმარტა, რომ ექსპერტებს ჰქონდათ ამასთან დაკავშირებით მითითება დასკვნაში. მოიაზრება კრიტერიუმების დახვეწა, ამავე დროს არის ერთ-ერთი დებულება, რომელიც ეხება პლაგიატის ნაწილს. თუ პლაგიატია 0 ქულით უნდა ფასდებოდეს და შიდა რეგულაციებით აქვს დაწესებულებას განსაზღვრული, რომ მსგავს შემთხვევაში მომდევნო სემესტრში შეიძლება გადამუშავებული ნაშრომი იქნეს წარდგენილი, რაც ბუნებრივია არ პასუხობს იმ წესს, რომელიც არის დადგენილი. უნივერსიტეტმაც გაიზიარა აღნიშნული მოსაზრება. აკადემიურ სტანდარტს და აკადემიური წერის მინიმალურ მოთხოვნებს, ეს არ გულისხმობს მხოლოდ ტექნიკურ ფორმალურ მოთხოვნებს, აქ მნიშნელოვანია ამავე დროს გარკვეული ანალიზის და კვლევის უნარები, რაც მავე დროს მოაზრებულია ექსპერტთა დასკვნაში და სხვადასხვა ნაწილშია ამაზე საუბარი.
საბჭოს წევრმა, ელენე ჟურავლიოვა დაინტერესდა, რომ თუკი სტუდენტი სამაგისტრო ნაშრომს საზღვარგარეთ იცავს, როგორ და რა სისტემით ფასდება ის. ასევე, გარემოებიდან გამომდინარე, ხომ არ უნახავთ ექსპერტებს ის ნაშრომი, რომელიც არის გაცვლითი მოდულის ფარგლებში დაცული.
ექსპერტთა თავმჯომარემ განაცხადა, რომ სტუდენტი არ იცავს სამაგისტრო ნაშრომს უცხოეთში. პირველი სასწავლო წლის განმავლობაში არის იქ და გადის სასწავლო კურსებს. შესაძლებელია სტუდენტმა დაიწყოს მუშაობა გარკვეულ თემატიკაზე, რა თემატიკაც ექნება შერჩეული ნაშრომისთვის. პარტნიორ უნივერსტიტეტში, ექსპერტთა ინფორმაციით პროგრამის სტუდენტების მიერ სამაგისტრო ნაშორმების დაცვა არ განხორიციელებულა.
საბჭოს წევრი, ელენე ჟურავლიოვა დაინტერესდა თუ რის მიხედვით ხდება სტუდენტთა სელექცია პირველივე სასწავლო წელს.
ექსპერტმა განმარტა, რომ წინაპირობად არის განსაზღვრული სპეციალობის მიხედვით შიდა გამოცდა და ასევე ინგლისური ენა. ექსპერტის თქმით, ვიზიტის დროს, როგორც დაწესებულებამ განმარტა ძალიან რთულად ტარდებოდა ენის გამოცდა, რადგან როდესაც ჩავლენ უცხოეთში ენის კომპეტენცია უნდა ჰქონდეთ მაღალ დონეზე, რათა შეძლონ მიწოდებული სახელმძღვანელოების და სასწავლო კურსის გამოყენება. სავარაუდოდ ამან განაპირობა ის, რომ 2020 წელს 2 სტუდენტი იყო და მიმდინარე წელს 1 სტუდენტი არის გასული. დაფინანსებას სრულად ახდენს მიმღები უნივერსიტეტი. სტუდენტი დასაწყისშივე ირჩევს კონცენტრაციას. სტუდენტს, რომელსაც სურვილი ჰქონდა იტალიაში სასწავლებლად წასულიყო, ემატებოდა გამოცდა უცხო ენაში, რათა დადასტურებოდა ენობრივი კომპეტენცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ომარ კიკვიძემ განმარტება გააკეთა იტალიის ჯგუფთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ორი წელი იყო, რაც ლაგვილას უნივერსიტეტთან გააფორმეს ხელშეკრულება გაცვლით პროგრამასთან დაკავშირებით. სტუდენტებს საშუალება ჰქონდათ, ერთი წელი ესწავლათ იტალიაში, აღნიშნულ უნივერსიტეტში. სტუდენტთა საბოლოო შერჩევა ხდებოდა მაისის თვეში. ინფორმაცია აღნიშნულის შესახებ საჯარო და ხელმისაწვდომი იყო მე-2, მე-3 და მე-4 კურსელებისათვის მთელი წლის განმავლობაში და თვითონ გამოთქვამდნენ სურვილს. გასულ წელს 2 და მიმდინარე წელს 1 სტუდენტი წავიდა სასწავლებლად გაცვლით პროგრამით და მიმდინარე სასწავლო წელს 4 სტუდენტს ჰქონდა გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის სურვილი. საბოლოო გადაწყვეტილება მაისის თვის ბოლოს იქნებოდა ცნობილი. B2 დონეს რაც შეეხებოდა, იტალიის მხარის მოთხოვნა იყო, რომ სტუდენტებს ჰქონოდათ ინგლისური ენის ცოდნის B2 დონე იმისათვის, რომ მათ ესწავლათ იტალიაში. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, აღნიშნული ხელშეკრულება დიდი შესაძლებლობა იყო არა მარტო სტუდენტებისათვის, აგრეთვე, აკადემიური პერსონალისათვის. ხელშეკრულების ფარგლებში დაგეგმილი იყო იტალიელი პროფესორების ჩამოსვლა ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტში და იქ ლექციების წაკითხვა, ასევე ერთობლივი სამეცნიერო კვლევით სამუშაოების განხორციელება. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ისინი იყვნენ საერთაშორისო ორგანიზაცია „ნემოქსის“ წევრები და ერთობლივ კვლევებთან მიმართებაში ახლაც აგზავნიდნენ მოხსენებებს იტალიაში და იუტამის კონფერენციაზე გააკეთებდნენ ერთობლივ მოხსენებას. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა საბჭოს წევრის შეკითხვას და აღნიშნა, რომ ჩარჩოების, წამწეების და თაღების ანგარიში სამშენებლო მექანიკის კურსში ისწავლებოდა, კერძოდ, ჩარჩოების გაანგარიშება გადაადგილებების მეთოდით. რაც შეეხებოდა ძალთა მეთოდს, ისწავლებოდა ჩარჩოების გაანგარიშება გამძლეობის კურსში. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მხოლოდ გასულ წელს იყო შემთხვევა, როდესაც მათმა ორმა სტუდენტმა გაცვლითი პროგრამით საზღვარგარეთ ისწავლა. მათ ჰქონდათ შესაძლებლობა და მზაობა, რომ დისერტაცია ინგლისურ ენაზე მოემზადებინათ, მაგრამ რატომღაც, მათ ჯერ-ჯერობით ვერ გაბედეს ეს. დისერტაციის დაცვა შედგებოდა დაწესებულების ბაზაზე და ამ პროცესში ჩართვისა და დაწესებულებისათვის მიღებული კრიტერიუმებით შეფასებისათვის მზად იყო იტალიის მხარეც.

დაწესებულების წარმომადგენელმა, პაატა გერაძემ უპასუხა საბჭოს წევრის, გაიოზ ფარცხალაძის შეკითხვას და აღნიშნა, რომ ლითონის კონსტრუქციებში ძალიან ბევრი სახეობა იყო განხილული და მონტაჟსა და დამზადებაზეც ჰქონდათ გარკვეული რაოდენობის საკითხები. დამზადების ტექნოლოგიის მიმართულებით შესაძლებელი იყო არჩევით კურსებში ერთი კურსის დამატება მაინც, თუმცა აღნიშნულ ეტაპზე, დამსაქმებელთა აზრის კვლევის დროს დაწესებულება მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ლითონის კონსტრუქციების კურსში იქნებოდა საკმარისი დამზადების ტოქნოლოგიის საკითხების შემოტანა. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე უპასუხა საბჭოს წევრის, გიორგი ღაღანიძის შეკითხვას და აღნიშნა, რომ შრომის ბაზრის კვლევაში გამოკითხული კონკრეტული პირების მიუთითებლობა მათი ხარვეზი იყო, თუმცა, მან ასევე აღნიშნა, რომ ცოცხალი კონტაქტი ჰქონდათ მათ დამსაქმებლებთან, ესენი იყო ძირითადად დასავლეთ რეგიონში მოქმედი სამშენებლო კომპანიები. გამოკითხული იყო დახლოებით 30-32 კომპანია. გამოკითხულებს შორის იყო ინფრასტრუქტურის სამინისტროს საგზაო დეპარტამენტი, რომელიც დაწესებულების აქტიური პარტნიორი და დამსაქმებელი იყო. ზოგად ნაწილთან დაკავშირებით კი, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მხოლოდ ამერიკის შესახებ არ ჰქონდათ საუბარი, არამედ იმ ინფრასტრუქტურულ მსხვილ პროექტებზე, რომლებიც საქართველოს დასავლეთ რეგიონში ხორციელდება და რომლებიც მოითხოვენ კვალიფიციურ, სამშენებლო კადრებს. ბიუჯეტთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეს მუდმივი პრობლემა იყო. უნივერსიტეტში შემუშავებული იყო ბიუჯეტის ფორმა, სარგებლობდნენ აღნიშნული ფორმით და ბედნიერები იყვნენ, რომ ასე მარტივად შეეძლოთ მათ პროგრამის ბიუჯეტის გამოთვლა. სამაგისტრო ნაშრომებში ლიტერატურის სიმწირესა და რუსული ლიტერატურის არსებობასთან დაკავშირებით

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულების პერსონალი რატომღაც ჯერ უარს ვერ ამბობდა რუსულ ლიტერატურაზე და საკმაოდ მაღალი დონის ლიტერატურა იყო გამოყენებული. რაც შეეხებოდა სამაგისტრო ნაშრომს, სადაც „ქართლის ცხოვრება“ და ისტორიული წყაროები იყო მითითებული, ის წარმოადგენდა სამაგისტრო ნაშრომს საქართველოს საგზაო ქსელის ისტორიასა და მის განვითარებაზე, რისი დადგენაც მოხდა აღნიშნული ლიტერატურული წყაროებით.
საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, დაეზუსტებინა სამაგისტრო ნაშრომის სათაური, რადგან მისთვის აღნიშნული ნაშრომი ცნობილი იყო, როგორც „სამტრედია-ხონის საავტომობილო გზის ორ კილომეტრიანი მონაკვეთის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის“ სათაურით და რა ისტორია სჭირდებოდა აღნიშნულ საკითხს.
აღნიშნულზე, დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ აღნიშნულ საკითხს თან ახლდა ისტორიული მიმოხილვა. მან ასევე უპასუხა საბჭოს წევრის შეკითხვას სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კომპონენტებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ყველა კომპონენტში 10 ქულა რა თქმა უნდა განსახილველი იყო და ამაში ეთანხმებოდნენ ექსპერტებსა და საბჭოს წევრებს და ითვალისწინებდნენ აღნიშნულ შენიშვნას. საბჭოს წევრის შეკითხვაზე, თუ რამდენად შეეძლო არამშენებელ ბაკალავრს დაეძლია აღნიშნული პროგრამა და თუ ჰყავდა დაწესებულებას ასეთი სტუდენტები, დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ნამდვლიად ჰყავდა ასეთი სტუდენტები, მაგრამ მათ მისაღები გამოცდა და მისი საკითხები ისე ჰქონდათ შერჩეული, რომ მინიმალური ცოდნა, რომელიც საჭირო იყო შემდგომ პროგრამაზე სწავლის გასაგრძელებლად, უნდა გამოევლინა პოტენციურ მაგისტრანტს. გარდა ამისა, ისინი მეთოდურად მუშაობდნენ მათ კანდიდატებთან, იმისათვის, რომ მოემზადებინათ და ეს ცოდნა მიეცათ გამოცდის ჩაბარებამდე.
საბჭოს წევრის მიერ სამაგისტრო ნაშრომის შეფასებასთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვას უპასუხა დაწესებულების წარმომადგენელმა და აღნიშნა, რომ ეთანხმებოდა. ასევე აღნიშნა, რომ სამაგისტრო ნაშრომები მოიცავდა გრაფიკულ და ტექნიკურ საკითხს, თუმცა ეს საკითხები იყო ნაშრომის განუყოფელი ნაწილი და მის ფარგლებში მოთავსებული. ინგლისურენოვანი კონცენტრაციისა და არჩევით საგნების კომპლექსთან დაკავშირებით არსებულ შეკითხვაზე დაწესებულების წამომადგენელმა აღნიშნა, რომ როდესაც მათმა იტალიელმა პარტნიორებმა წარუდგინეს სილაბუსები, 9 კრედიტი მიანიჭეს ძირითად სასწავლო კურსებს, დაწესებულების წარმომადგენლები ვერ შეეხებოდნენ მათ აკადემიურ თავისუფლებას და უბრალოდ ასე მოაქციეს პროგრამაში მათი სასწავლო კურსები.
საბჭოს წევრმა, ელენე ჟურავლიოვამ დამაზუსტებელი შეკითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს და აღნიშნა, რომ სილაბუსები, რომლებიც დაწესებულების წარმომადგენლებს ჰქონდათ წარმოდგენილი, სტუდენტები, რომლებიც მიდიოდნენ იტალიაში, რეგისტრირდებოდნენ იქ აღნიშნულ კურსებზე, მოცემულ სილაბუსს კი დაწესებულების სახელი ეწერა. ხომ არ ეს იყო ერთობლივი პროგრამა, არამედ იტალიური უნივერსიტეტის კურსი. უბრალოდ დაწესებულება მათი პროგრამის ფარგლებში უღიარებდა ჩამოსულ სტუდენტს იმ კურსს, რომელიც მან საზღვარგარეთ გაიარა. საბჭოს წევრს აინტერესებდა ის 60 კრედიტი, რასაც სტუდენტი იტალიაში გადიოდა, 60-ვე ინგლისურენოვანი იყო დაწესებულებაშიც თუ არა.
აღნიშნულზე დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ 60-ვე ინგლისურენოვანი იყო და უღარებდნენ ჩამოსვლის შემდეგ.
საბჭოს წევრმა ასევე დაამაზუსტებელი შეკითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, რომ იყო თუ არა 60-ვე კრედიტი იტალიური უნივერსიტეტის სილაბუსით გათვალისწინებული და დაწერილი მათთვის.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აღნიშნული სილაბუსი დაწერილი იყო იტალიის უნივერსიტეტისთვის და ამ სილაბუსით ასწავლიდნენ არა მარტო მათ სტუდენტებს, არამედ სხვა ქვეყნის სტუდენტებსაც.

საბჭოს წევრმა, ელენე ჟურავლიოვამ ასევე შეკითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, თუ რამდენ ხნიანი იყო ის პროექტი, რომელიც აფინასნებდა სტუდენტთა სასწავლებლად წასვლას იტალიაში.
დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მისი ინფორმაციით აღნიშნული პროექტი იყო 10 წლიანი, მაგრამ 2 წელი უკვე გასული იყო. მან ასევე დაამატა, რომ ეთანხმებოდა შენიშვნას პარაქტიკული ნაწილის მეთოდური მითითებების უფრო მრავლად უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი სილაბუსებში და გეგმავდნენ აღნიშნული მიმართულებით მუშაობის გაძლიერებას. გასულ წელს 2 და მიმდინარე წელს მხოლოდ 1 სტუდენტის გაცვლით პროგრამით იტალიაში გამგზავრებასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ გარდა ენობრივი კომპეტენციისა, ამაზე ასევე იმოქმედა პანდემიამაც.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ომარ კიკვიძემ დაამატა და აღნიშნა, რომ მაგისტრატურის აბსოლიტურად ყველა კურსდამთავრებული დასაქმებული იყო, მათ შორის უცხოურ კომპანიებში, კერძოდ ჩინურ კომპანიაში, რომელიც ასრულებს ავტომაგისტრალის შოროპანი-არგოთას მონაკვეთზე. ისინი მაისის თვიდან თავად იყვნენ მისულები უნივერსიტეტში, სპეციალურად შეხვდნენ სტუდენტებს და თავად შეარჩიეს. ისინი კვლავ ითხოვენ დაწესებულების სტუდენტების გაგზავნას სამუშაოების შესასრულებლად. აღნიშნული სტუდენტები ღებულობენ უდიდეს გამოცდილებას.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 21:35
დასრულების დრო: 21:51

საბჭო დაბრუნდა სხდომაზე, საბჭოს თავმჯდომარის თქმით საბჭოს წევრებს ჰქონდათ დამატებითი კითხვები.
საბჭოს წევრმა, ელენე ჟურავლიოვამ განმარტა, რომ დაბნეულობა გამოიწვია სტრუქტურის დოკუმენტმა. საბჭოს წევრმა სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეზუსტებინათ თუ რომელ ნაწილს გადის სტუდენტი იტალიაში და რა არის ნაგულისხმევი კონცენტრაციების ქვეშ. რა კურსების ნაკრებია ინგლისურენოვანი კონცენტრაცია და არის თუ არა განსხვავებული სწავლის შედეგი.
საბჭოს წევრი, ნინო ინასარიძე დაინტერესდა 42 კრედიტთან დაკავშრებით, თუ როგორ ივსებს დანარჩენ კრედიტებს სტუდენტი, ასევე მისი თქმით გაუგებარია 40 კრედიტი - ქართული კონცენტრაცია და 42 კრედიტი - ინგლისურენოვანი კონცენტრაცია.

საბჭოს წევრის მიერ სხდომაზე გაზიარდა სასწავლო გეგმა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, განმარტტა, რომ ინგლისურენოვანი კონცენტრაციის და საგნების არჩევის დროს სტუდენტი იტალიაში გაივლის სასწავლო გეგმაში მე-12, მე-13, 24-ე, 25-ე, 26-ე, 32-ე, 33-ე და 34-ე სასწავლო კურსებს. რაც შეეხება კრედიტებს, დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, თითოეულ სემესტრში უცხოენოვანი კრედიტების ჯამი არის 30. მე-12 9 კრედიტი, 24-ე 9 კრედიტი, 25-ე და 26-ე 6-6 კრედიტი. მეორე სემესტრში მე-13 9 კრედიტი, 32-ე და 33-ე 9 კრედიტი და 34-ე 3 კრედიტი. ჯამში 30 კრედიტი. საქართველოში დაბრუნების შემდგომ მე-3 სემესტრში აითვისებს 30 კრედიტს (ქართულენოვან, ზოგადი სახის კურსებით) და 30 კრედიტის ოდენობით დაიცავს 30 კრედიტიან სამაგისტრო დისერტაციას.

საბჭოს წევრი ელენე ჟურავლიოვა დაინტერესდა, სტუდენტი ჩამოსვლის შემდეგ თუ გაივლის სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის სასწავლო კურსს, ასევე ქართულია თუ არა კურსები, რომლებიც წინაპირობად აქვს აღნიშნულ საგანს.
დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, აღნიშნულ წინაპირობებში არ არის მითითებული ინგლისურენოვანი კურსი.

საბჭოს წევრმა დააზუსტა შესაძლებელია თუ არა არჩევითი ინგლისური სასწავლო კურსი იყოს სავალდებულო ქართულენოვანი სასწავლო კურსის წინაპირობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ კომპიუტერული სტრუქტურული მექანიკა იქნება წინაპირობა სასწავლო კურსის „Construction"
საბჭოს წევრმა დაამატა, რომ აღნიშნულ სასწავლო კურსს საავტომობილო გზების პროექტირება ჰქონდა სასწავლო კურსის წინაპირობად და ქართულის შემთხვევაში, ამის ექვივალენტია არის თუ არა იტალიური კურსი.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დიახ პროექტირების კურსი უნდა იყოს.
საბჭოს წევრმა ელენე ჟურავლოვამ დამაზუსტებელი შეკითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, თუ რატომ ერქვა არჩევითი კურსები, თუ ინგლისურენოვანის შემთხვევაში არჩევითობა არ იყო, რაც იყო შემოთავაზებული ყველა უნდა გაევლო სტუდენტს.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ზოგადად არჩევითი იყო, რადგან სტუდენტი ირჩევდა ინგლისურენოვან კონცენტრაციას და მიდიოდა იტალიაში. ხოლო დანარჩენები, უკვე ქართული კონცენტრაციისთვის, იყო არჩევითი და სტუდენტს შეეძლო, იმის მიხედვით თუ რა თემატიკის კვლევებს ატარებდა, აერჩია კურსები.
საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ დამაზუსტებელი შეკითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, თუ რას გულისხმობდა ინგლისური კურსი „ქიმბერ ენჯინერინგის" კურსი, ეს იყო ხე-ტყის პროდუქციის გადამუშავება, თუ მშენებლობაში გამოყენებული ხე-ტყის კონსტრუქციები. რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ეს იყო კურსი ხის კონსტრუქციების შესახებ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 22:00
დასრულების დრო: 00:21

გამომდინარე იქედან რომ საბჭოს სხდომა გაგრძელდა 00:00 სთ-ის შემდგომ, ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წევრებს მიმართა შუამდგომლობით, წევრების თანხმობით, კენჭისყრის საფუძველზე სხდომა გაგრძელებულიყო 01 დეკემბერსაც. სხდომაზე დამსწრე წევრების ერთსულოვანი გადაწყვეტილების საფუძველზე გაგრძელდა სხდომა.

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
√ **საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა** სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მშენებლობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 2 წლის ვადით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ, პირველ სტანდარტი ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან" განსაზღვრა როგორც „მეტწილად

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მეორე სტანდარტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაში მოთხოვნებთან“, განსაზღვრა როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მესამე სტანდარტი ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, განსაზღვრა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მეხუთე სტანდარტი ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან”, განსაზღვრა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები და ჩამოაყალიბა შემდეგნაირად:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია პროგრამის მიზნები გაიწეროს მკაფიოდ სწავლის სფეროს, კონცენტრაციების, პროგრამის შინაარსის, საერთაშორისო კომპონენტის გათვალისწინებით, შემდგომში მიზნების გაზომავდობის და მიღწევადობის უზრუნველსაყოფად;
2. რეკომენდირებულია პროგრამის სწვალის შედგების გაწერა ცალკეული კონცენტრაციების მიხედვით მომქმედი კანონმდებლობის თანახმად;
3. პროგრამაზე მიღების წინაპირობებში ინგლისური ენის B2 დონეზე მოთხოვნა სავალდებულო გახდეს როგორც ინგლისურენოვანი, ისე ქართულენოვანი კონცენტრაციისთვის;
4. მიზანშეწონილია, კურიკულუმის ერთ-ერთი ნაწილის, კერძოდ, „პროგრამის ქართულენოვანი კონცენტრაციის ფარგლებში არჩევითი სასწავლო კურსებისთვის დადგენილ კრედიტებთან (40 კრედიტი) დაკავშირებულ ჩანაწერსა და სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ „ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი სავალდებულო კურსების“ კრედიტების მაჩვენებელს შორის არსებული წინააღდეგობა აღმოიფხვრას, კონცენტრაციების არჩევითობის სპეციფიკა (არჩევითობისა და პროგრამის კრედიტების საერთო რაოდენობის არანაკლებ 50%-ის გათვალისწინების წესები) დაცული იყოს. პროგრამის სტრუქტურა გაიწეროს ისე, რომ იყოს მარტივად აღქმადი;
5. რეკომენდირებულია გადაიხედოს პროგრამის კონცენტაციების მოცულობა და წარმოდგენილი იქნას კრედიტების თანაბარი რაოდენობით;
6. სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული თემების გადაფარვის პრობლემა აღმოიფხვრას;
7. რეკომენდირებულია დაკორექტირდეს სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები ქულობრივი გადანაწილების თვალსაზრისით;
8. რეკომენდებულია, მოვიდეს შესაბამისობაში სასწავლო კურსის "რკინაბეტონის კონსტრუქციების" შინაარსი, სწავლების საფეხურთან;
9. სასწავლო კურსის სილაბუსებში გაწერილი „სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობები“ შესაბამისობაში მოვიდეს სასწავლო გეგმაში განსაზღვრულ ჩანაწერებთან;
10. რეკომენდებულია გადაიხედოს სასწავლო კურსები „პედაგოგიკის ფსიქოლოგია“ და „პედაგოგიური პრაქტიკა“ სტატუსი და გამიჯნულ იქნას ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი კურსებისაგან;
11. რეკომენდებულია ინგლისურენოვან კონცენტრაციაში დაცულ იქნას არჩევითობის პრინციპი;
12. სასწავლო კურსის სილაბუსებში გაწერილი „სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობები“ შესაბამისობაში მოვიდეს სასწავლო გეგმაში განსაზღვრულ ჩანაწერებთან;
13. რეკომენდირებულია ცალკეულ სასწავლო კურსებში სწავლების მეთოდები შესაბამისობაში მოვიდეს კურსის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან;
14. რეკომენდირებულია ცალკეულ სასწავლო კურსებში სწავლების მეთოდები შესაბამისობაში მოვიდეს კურსის შინაარსთან და სწავლის შედეგებთანთ;

15. რეკომენდირებულა დაცული იყოს სამაგისტრო ნაშრომისადმი წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები (სტრუქტურა, შინაარსი, რელევანტური ლიტერატურა და გაფორმების წესი);
16. უნივერსიტეტმა უფრო მეტად იზრუნოს პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო პროდუქტიულობის ამაღლება - შენარჩუნებაზე, პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე;
17. რეკომენდებულია, რამდენიმე დოკუმენტის (უმაღლესი (აკადემიური) საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ინსტრუქციის (დანართი 4-EP-QA 1.1), უმაღლესი (აკადემიური) საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ინსტრუქციის (დანართი 4-EP-QA 1.1), უმაღლესი (აკადემიური) საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ინსტრუქციის (დანართი 4-EP-QA 1.1) ჩანაწერების შესაბამისობაში მოყვანა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან;
18. რეკომენდებულია ამოქმედდეს შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმები პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევადობის, პროგრამის მუდმივი განვითარების უზრუნველსაყოფად;
19. განხორციელდეს სამაგისტრო ნაშრომებზე მონიტორინგი, დაწესებულების მიერ დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

1. სასურველია, დაწესებულებამ კურიკულუმში გაითვალისწინოს პროგრამაზე სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხვის ზოგადი პირობა/წესი;
2. სასურველია, მეტი სიცხადისთვის სასწავლო კურსების სილაბუსებიდან ჯერ აისახოს განსახილველი თემის სათაური, ხოლო დასათაურების ქვეშ - ამ თემის ფარგლებში მოაზრებული საკითხის მოკლე ჩამონათვალი (აღწერა);
3. სასურველია, სასწავლო კურსის სილაბუსის თემატიკაში მითითებული „საკანონმდებლო ბაზა“ განსაზღვრულ იქნეს სავალდებულო ლიტერატურაში (სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა);
4. სასურველია სასწავლო კურსის „პედაგოგიური ფსიქოლოგია“ სილაბუსში გამოსაყენებელ ლიტერატურაში აისახება ა. ვულფოლკის 2009 წელს გამოცემული ქართულენოვანი თარგმანი „განათლების ფსიქოლოგია“;
5. გაიზარდოს სტუდენტების ჩართულობა ადგილობრივ/საერთაშორისო კონფერენციებში, სამეცნიერო პროექტებსა და გრანტებში;
6. რამდენიმე სასწავლო კურსის სილაბუსში გასწორდეს სწავლება-სწავლის მეთოდებთან დაკავშირებული ტექნიკური უზუსტობა;
7. სასურველია პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და პროფესიული განვითარების ღონისძიებათა შესახებ სრული წარმოდგენის შესაქმნელად პირადი მონაცემების მუდმივად განახლება;
8. სასურველია, ბიუჯეტის დოკუმენტში უფრო დეტალურად აისახოს კონკრეტული აქტივობები, დეფიციტურობისას კი - პროგრამის ფინანსური მდგრადობის შენარჩუნებაზე ორიენტირებული ღონისძიებები;
9. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშში, მე-5 სტანდარტის „ძლიერი და გასაუმჯობესებელ მხარეების“ შეფასებისას არ არის წარმოდგენილი გასაუმჯობესებელი მხარეები სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. ვინაიდან დაწესებულება „ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს“ (PDCA) იყენებს, სასურველია, გადაიხედოს აღნიშნული საკითხი ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესების კონტექსტში;

10. სასურველია, უნივერსიტეტმა შეიმუშავოს ელექტრონული სწავლების კონცეფცია და ადმინისტრირების წესი, შესაბამისი გზამკვლევები და ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის რეკომენდაციები.

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^2 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-3, მე-3^2 ქვეპუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მშენებლობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია 2 წლის ვადით.

საბჭოს თავმჯდომარემ განხილული საკითხების სირთულიდან გამომდინარე დააყენა შუამდგომლობა, რომ დღის წესრიგით განსაზღვრული შემდეგი საკითხები, კერძოდ, შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტ სეუს - "ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკთხი და სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "პოლიტიკის მეცნიერების (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი განეხილათ შემდეგ სხდომაზე.
აღნიშნული საკითხი დამსწრე წევრებმა ერთხმად დააკმაყოფილეს.

დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2021 წლის 01 დეკემბერს 00:21 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ